

კავკასია

(LE CAUCASE)

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

L'adresse de l'administration : 73, rue Froidevaux, Paris (14^e).

№ 5-12

მ ა ი ს ი 1938

№ 5-12

შ ი ნ ა რ ს ი :

პ. ბამბატ — ინგლიის - იტალიის შეთანხმება.

** — საოცდაექვსმაისოთ

ვლ. ახმეტელი — ჩრდილოეთის პოლუსი

გრ. დიასამიძე — საერთო სამშობლოს შეგნებისათვის

ვლ. ემუხვარი — ჩემს ბრალმდებელთ

მიხ. კედია — მოკავშირეც ასეთი, უნდა ანუ როგორ უდროვოთ ამხილა
ბ. გ. გვაზავამ ბ. ნ. უორდანიას ზრახვები

** — მენშევიკური პრესა

პროფ. ივ. ჯავახიშვილი — რუსთველის ეპოქის სოციალური კულტურა
და პოემა „ვეფხვის ტყაოსანი“

ნ. წაწალაშვილი — ემიგრანტული შაირები

სანორჩელი — ჩვენს ახალგაზრდობას

წერილი სოშოდგან — ქართველ ანტიმარქსისტების განცხადება

წერილი რედაქციის მიმართ — ქალბატონ მარია კვინიტაძისა

** — „ახალი ივერია“-ს მუქარა

ინგლის - იტალიის შეთანხმება

ერთი მეორეზედ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამბები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებიან. ავსტრიის გერმანიასთან გაერთიანებით გამოწვეული მღელვარება ჯერ კიდევ არ მიწყნარებულა, რომ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს ისევ მორიგი სენსაცია იპყრობს.

იდენის გადგომისთანავე 12 თებერვალს დაწყებული ინგლის-იტალიური ლიის მოლაპარაკება დღეს გამარჯვებით დასრულდა. სწორედ ალდგომის წინ იყო, რომ გრაფმა ჩიანომ და ლორდმა პერტმა შეთანხმების პროტოკოლს და დამატებით დოკუმენტების მთელ სერიას ხელი მოაწერეს.

წელთა განმავლობაში ჩვენ მოწმენი ვიყავით, როგორი დრამატიული კონფლიქტი არსებობდა ზავის მოწყობის ორ მოქიშპე პოლიტიკურ სისტემათა შორის, ორ დიამეტრალურად მოწინააღმდეგე მეთოდების შორის, თუ როგორ უნდა მოგვარდნენ საერთაშორისო კონფლიქტები.

1914—1918 წლის ომიდგან გამარჯვებულად გამოსულმა ეგრედ წოდებულ ქადაგებულმა „სახელმწიფოებმა გადმოისროლეს „კოლექტივური უშიშრობის“ და „განუყოფელი ზავის“ ლოზუნგები.

გერმანიამ, რომელსაც გზა და გზა იაპონია და იტალიაც მიემხრო, წინ წამოუყენეს ამ ლოზუნგს საუკუნოებით ნაცადი და მსოფლიოსავით ძველი ორთაშორის შეთანხმების ზავის სისტემა.

ქადაგები, რომელთაც თავისი პოლოტიკის მთავარ იარაღად ერთა ლიგა გაიხადეს, შეეცადნენ, რომ ახალი საერთაშორისო იდეოლოგია მორალის პრინციპებზედ და საერთაშორისო სამართლიანობაზედ დაეფუძნებინათ.

ასეთი პოზიციებისათვის შეუძლებელია ვნება არ მიეყენებინა იმ განსაკუიფრებელ განსხვავებას, რომელიც არსებობდა სიტყვების იმ ნიაღვარსა, უენევის მაღალ ტრიუნიდან რომ მოჰქმებდა და დიდი სახელმწიფოების პრაქტიკულ მოქმედების შორის, რომლებიც ლიგაში ბატონობდნენ.

ამ უკანასკნელთა ხელში, ეს საერთაშორისო დაწესებულება მხოლოდ უბრალო იარაღად იქცა, რათა მათ თავისი ჰეგემონია აღემართათ და განემტკიცებინათ ევროპაში ის წესრიგი, რომელიც ომის მერმინდელმა ხელშეკრულებებმა შეჰქმნეს.

უენევის პირმოთნე სიტყვიერების სათუო სიცრუე განსაკუთრებით აუტანელი შეიქმნა, როცა მაღალი არეოპაგის წიაღში ისეთი „დემოკრატიული“ სახელმწიფოც აღმოჩნდა, როგორიც საბჭოთა კავშირი და პოლიტიკური ამინდის კეთებას ლემანის პირზედ წმ. გრაალის ისეთი რაინდი შეუდგა, როგორიც ლიტვინოვია.

უბადრუკმა როლმა, რომელიც ინგლისის სატელიტმა — ერთა ლიგაშ ხმელთაშუა ზღვის და აღმოსავლეთ აფრიკის გამო, ამ სახელმწიფოს იტალიასთან დავის დროს ითამაშა და სანქციათა პოლიტიკის სამარცხვინო მარცხობამ, უენევისადმი უკანასკნელ რწმენასთან ერთად მოჰქლა, ლიტვინოვის გულისათვის ძვირფასი „კოლექტიური უშიშროების“ და „განუყოფელი ზავის“ კონცეპციაც.

იაპონია-გერმანიის შეთანხმებისა და იტალია - გერმანიის ლერძის შექმნის შემდეგ, ინგლის-იტალიის შეთანხმება, სადაც ერთა ლიგაზედ კრინტიც კი არის დაძრული, ამ მკვდრად დაბადებული კონცეპციის დასამარების ოფიციალური ჩეგისტრაცია არის.



თუ რომ ზოგიერთ ავტორიტეტულ მეთვალყურეს დაუჯერებთ, რომის ხელშეკრულებამ უნდა წამოიწყოს არა მარტო ახალი ხანა ინგლის-იტალიის განწყობილებაში, არამედ ძირიანად შესცვალოს უკანასკნელ დროს შექმნილი საერთაშორისო დაჯგუფებანიც.

16 აპრილის ხელშეკრულობა თავის ზრახვათა სიფართოვით და შეხებულ საკითხების სიუხვით, მართლაც 4 აპრილის 1904 წლის ცნობილ ტრაქტატს გვაგონებს, რომლითაც ევროპის საუკეთესო მაშინდელმა დიპლომატმა კამბონმა — საფრანგეთის მხრით და დიდი-ბრიტანეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ლორდმა ლენდსდოუნმა არა თუ საბოლოვოდ გადასჭრეს აფრიკაში მრავალწლოვანი მეტოქეობის საკითხი, არამედ მოაწესრიგეს ყველა ძველი კოლონიალური დავა ყველა კონტინენტებზედაც.

4 აპრილს 1904 წლის ხელშეკრულება, საძირკველი გახდა, რომელზედაც ცნობილი გულითადი შეთანხმება — „ანტანტ კორდიალ“ აღმოცენდა და რომელმაც 1914 წლის მსოფლიო ომბებში ასეთი გადამჭრელი როლი ითამაშა.

ამ ხელშეკრულებას დღემდის შერჩა თავისი მნიშვნელობა და წარმოადგენს იმ მეგობრობის ბაზას, რომელიც ინგლის - საფრანგეთს შორის დღითი დღე მტკიცდება.

ექნება თუ არა ინგლის-იტალიის ახალ შეთანხმებას ასეთივე ბედი? ეს იქნება საეჭვო იყოს.



1904 წლის ინგლის - საფრანგეთის შეთანხმების დადების დროს, ქვეყნად ჯერ კიდევ არ იყო ძალა, რომელიც საფრანგეთის და ინგლისს ხელს შეუშლიდა, რომ მათ განუკითხავად ებატონათ იმ უზარმაზარ ტერიტორიებზე, სადაც მათი მოქიშპე ინტერესები ერთმანეთს ხვდებოდნენ.

დამოკიდებულებათა ნორმალიზაცია მათ შორის, რომელიც მოჰყვა მათ შორის გავლენათა სფეროების განაწილებას, ნიშნავდა მაშინ კარის ფაქტიურ ჩაკეტვას, რომ ამ „კოლონიალურ ქვეყნებში“ უცხო ძალას აღარ გაევლო.

უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში პირი ქვეყნისა საუცნაუროდ შეიცვალა. მსოფლიო მნიშვნელოვნად შევიწროვდა. დასავლეთში და აღმოსავლეთში წარმოიშვენ ძლიერი იმპერიები, რომელთა სამხედრო პოტენციალი და პოლიტიკური დინამიზმი არაფერში არ ჩამოუვარდებიან მათი წინამორბედების სამხედრო ძლიერებას და საკოლონიო მადას.

მერე თვით ეს „კოლონიალური ხალხებიც“ ის უსიტყვო აღამიანთა ფარა აღარ არის, რომელსაც ჩამორჩენილი რასების „აღმზრდელები“ თავისთვის და თავის მეტროპოლიებისთვის ასეთის გამორჩენით ჰპარსავდნენ.



როგორც ლევანტაში და აფრიკაში, ისე ინდოეთში და შორეულ მთელსავლეთში „ფერადი“ ხალხები სულ უფრო და უფრო მეტის უთმინარობით იტანენ თეთრი ბატონის ჩაგვრას...



ლაპარაკი იმის შესახებ, რომ რომში დადებული ხელშეკრულება მუსოლინის უდიდეს დიპლომატიურ გამარჯვებას წარმოადგენს, რომელიც აგვირგვინებს აბისინიის დაპყრობას და ფაშისტური იტალიის პოლიტიკის პრესტიუს ჯერ არ ყოფილ სიმაღლემდის სწევს — ლიაკარის მიწოდა იქნებოდა.

ინგლისის იძულებითი უკან დახევას იტალიის სამხედრო და მორალური ძლიერების წინაშე ვერავითარი სოფიზმებით და ტექსტების ვერავითარი ქსტატური ინტერპრეტაციით ველარ გადაიღებება.

დიდი არმადის განადგურების შემდეგ, რომელმაც თან წაიღო ისპანიის სამხედრო ძლიერება, არა თუ ისპანიას, ან იტალიას, რომელიც მუსოლინამდის ევროპიულ კონცერტში მეორე ხარისხოვან როლს თამაშობდა, არამედ საფრანგეთსაც, რომელიც ხმელეთზედ და ზღვაზედ პირველხარისხოვანი სახელმწიფო იყო, ვერ. შეეძლოთ ხმელთაშუა ზღვაში, ინგლისის დაუკითხავად რაიმე განეზრახათ, რომელიც მალტაზედ იჯდა და რომელსაც „ლათინთა ზღვის“ ორივე გასავლის კლიტე ხელში ეჭირა.

მუსოლინის იტალიამ ამ გეგემონიას დღეს ბოლო მოუღო.

სამუდამოთ? დიდი ხნით? ეს სხვა საკითხია.



ჩვენ ყველამ დავინახეთ ის ღონისძიებანი, რომელიც ინგლისმა სათითაოდ იხმარა, რომ ხმელთაშუა და მეწამულ ზღვაში თვისი უპირატესი მდგომარეობა შეენარჩუნებინა.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ მან იხმარა თავისი დიპლომატიის მთელი მარაგი, პოლიტიკური და სამხედრო ბლეფი, რომ მუსოლინისათვის აბისინიაში გზა გადაეჭრა.

თუ უენევაში განცდილ სანქციების სათაკილო მარცხის შემდეგ ინგლისმა ომს არ მიმართა, აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ნამდვილ ომისათვის ის მაშინ მზად არ იყო, როგორც მზად არ არის ეხლაც...

ხოლო მუსოლინის სამზადისი, ომზედ ომით ეპასუხნა, თუ კი ინგლისი ომს განიზრახავდა, ეჭვს გარეშე იყო. მაგრამ ლონდონში, საღაც ხანგრძლივად ფაშისტურ იტალიას ანგარიშს არ უწევდნენ, ამას უნდოთ უცქეროდნენ. ამას მოჰყვა ისეთი ბლეფი, როგორიც იყო ხმელთაშუა ზღვაში დიდი ფლოტის გაგზავნა... უყუმბარებოთ...

ამ ბლეფმა, როგორც ვიხილეთ, მუსოლინი ვერ შეაშინა. ამას უენევის მყვირალა მაგრამ უძლურ ხმაურობას, მუსოლინიმ რომ-

ბერლინის ლერძით უპასუხა, რომელიც ინგლისისათვის იქნება გაცი-
ლებით უფრო საშიშია ვიდრე ტოკიოსთან შეთანხმება.

დაგვიანება სახითათო იყო. ინგლისი უნდა იტალიას დაჰყოლო-
და, რაიცა ძალიან წააგავდა კაპიტულაციას და დაეჩქარებინა თავისი
ისედაც ჩქარად წარმოებული შეიარაღების საქმე.



ინგლის-იტალიის შეთანხმების ყველაზედ უფრო საგულისხმიე-
რო პუნქტები არიან ის პუნქტები, რომლითაც ინგლისი უპირობოთ
და ზეიმით აღიარებს უფლებისა და ვალდებულების სრულ თანასწო-
რობას დიდი ბრიტანეთისა და იტალიის ახალგაზრდა იმპერიის შო-
რის ყველგან, სადაც კი მათი ინტერესები ერთმანეთს ხვდებიან.

შემდეგ ყურადღებას იპყრობს ამ შეთანხმების ყოვლის შემცვე-
ლი ხასიათი.

აღარ დარჩა არც ერთი საკითხი, რომელიც კი აბისინიის ექსპე-
დიციამ ან ისპანეთის სამოქალაქო ომმა წარმოშვა, რომ ხელშეკრუ-
ლება არ ეხებოდეს.

ამ ხელშეკრულებით განკუთვნილ ზონაში მოექცა ფრიად ფარ-
თო რაიონი დაწყებული კანარის კუნძულებით ბაბ-ელ-მანდების სრ-
უტემდის და პალესტინიდგან მოყოლებული ყენიამდის, ე. ი. ატლა-
ნტის ოკეანადგან ინდოეთის ოკეანემდის და მცირე აზიიდგან აღმო-
სავლეთ აფრიკამდის.

ამ ფარგლებში წამოჭრილი ყველა საკითხი, როგორც მორალურ
პოლიტიკური, ისე სამხედრო ხასიათისა, მორიგებულ მხარეთა შო-
რის, სრული თანასწორობის ნიადაგზედ უნდა სწყდებოდეს.

ამ ამბავის ისტორიული მნიშვნელობა დიდია. ტყუილად არ არ-
ის, რომ მთელი იტალიური პრესა ამ მორალურ მომენტს ხაზგასმით
აღნიშნავს, რადგან ამით არივე სახელმწიფოს დამოკიდებულებაში
ახალი ხანა იწყება.



ამ შეთანხმების მთავარი ჭახრაკი მეწამული ზღვა და არაბთა ის
ქვეყნებია, რომლებიც მის ნაპირებზედ ძევენ.

აქ შეთანხმებული მხარენი ერთმანეთს პირობას უდებენ, რომ ამ
ქვეყნებში არც ერთი უცხო გავლენა არ დაუშვან.

მეწამული ზღვა, ამ რიგად, ინგლის-იტალიური ტბა ხდება, ხო-
ლო მისი მომდევნო არაბთა სამეფო-სამთავროები სხვა სახელმწიფო-
ებისათვის, ჩაკეტილი უნდა იყვნენ.

რა თქმა უნდა დგება საკითხი: შესძლებენ თუ არა მორიგებული
მხარენი, რომ ასეთ დელიკატურ ზონაში მათ ასეთი აბსოლუტური
„ტეტ-ა-ტეტი“ შეინარჩუნონ?

ასეთი რამ, შესაძლებელია, საეჭვოც იყოს. მეწამული ზღვა მა-



რტო დიდი ბრიტანეთისათვის და იტალიისათვის არ არის საიმპერიო გზა. ასე გადის საფრანგეთის გზა მის სამფლობელოებისაკენ. ბაბ-ელ-მანდების სრუტე ფრანგულ სომალისაც უდგება. ამ გზას ხმარობენ სვა სახელმწიფონიც.



არყევს თუ არა ინგლის-იტალიის შეთანხმება რომ-ბერლინის ლერძს? -ჩ

დემოკრატიულ ქვეყნების პრესა ბეჯითად უკავშირებს ერთმანეთს ავსტრიის შეერთებას გერმანიასთან და გრ. ჩიანოსა და ლორდ პერტის შორის ჩქარად და წარმატებით დამთავრებულ მოლაპარაკებას. მისი სურვილია, რომ ინგლის-იტალიის შეთანხმება რომ-ბერლინის ლერძს დაუპირდაპირონ.

მაგრამ არ არსებობს არავითარი საბაბი ვითიქროთ, რომ ასეთია მუსოლინის სულისკვეთებაც. პირიქით, სასტიკი სასჯელი, რომელიც ერთ იტალიურ გაზეთს თავს დაატყდა, მარტო იმიტომ რომ იტალიის ორიენტაციის შეცვლაზედ წაილაპარაკა და ის ზეიმი, რომლითაც იტალია ჰიტლერს შეხვდა, თითქოს სულ სხვა რამეზედ გვითითებენ.

ინგლის - იტალიის შეთანხმება ჯერ კიდევ ძალაში არ შესულა. მისი პრაქტიკული გამოყენება ექვემდებარება ისეთ ამბებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ მომხდარან. ინგლისი ჯერ კიდევ იტალიელ ვოლონტერების ისპანიიდგან წასვლას უცდის. იტალიაც ელოდება რომ მის იმპერიას იცნობენ. ინგლისი გაფაციცებით იარაღდება, უნდა დაკარგული წლები ამოიგოს და ამისათვის ასტრონომიულ თანხებს ხარჯავს. ამავე დროს, ის ცდილობს საფრანგეთთან თავისი პოლიტიკური და სამხედრო კავშირი განამტკიცოს და გავლენა მოახდინოს თავის აღმოსავლეთ მეზობელზედ და ვინ იცის, მომავალ მოკავშირეზედაც, რათა მან ხელი აიღოს ისეთ პოლიტიკურ ვალდებულებებზედ, რომელიც მის აღმოსავლეთ სამზღვარზედ ომს გამოიწვევდა... ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ ამოცანა, რომელიც ჩემბერლენმა წინ დაიყენა, მხოლოდ იტალიასთან შეთანხმებით არ განისაზღვრება. ინგლისი მიისწრაფის მკვიდრი ზავი მოუპოვოს ევროპის იმ ზონას, რომელთანაც დაკავშირებულია ბრიტანეთის კუნძულის სტრატეგიული დაცვა. ეს ზონა ცნობილია: ბელგია, ჰოლანდია, საფრანგეთი. ასეთი კონსერვატიული პოლიტიკა ევროპაში, ეტყობა, მიზნად ისახავს ბრიტანეთის იმპერიის ზურგის გამაგრებას, რომ მეტროპოლია დაცულ იყოს. ესევე გაუხსნის ინგლისს ხელს, რომ თავისუფალი იყოს წყნაროკეანეში და მასთან მიმყვან საზღვაო და საჰაერო გზებზედ.

ბრიტანეთის კომმონველტის საარსებო ინტერესები საფრთხეში იმყოფებიან არა ევროპაში, არამედ მის ზღვის იმიერ აზიურ სამფლობელოებში...

იტალიას, რომელიც ეს არის ხმელთაშუა ზღვაში ინგლისის ჰეგე-მონიისაგან განთავისუფლდა, არა გვგონია სურვილი ჰქონდეს ბრი-

ტანეთის იმპერიის სატელიტი გახდეს იმ ფართო საიმპერიო გზაზედ, რომელზედაც ის მუსოლინის გენიოსობამ გამოიყვანა. მაგრამ ასეთი რამ მას ფატალურად დაემართებოდა, თუ კი ის გასწყვეტდა იმ კავშირს, რომელიც მას გერმანიასთან და იაპონიასთან აახლოვებს.


არა, გადაჭრით ნაადრევია, ვთიქრობთ ჩვენ, რომ იტალიამ თავისი პოლიტიკური ორიენტაცია შესცვალოს.

ჰამმატი



საოცდაეჯვებაისოდ

მსოფლიო ომის და უხეირო ზავის შემდეგ მთელ ქვეყანას თავის ცხოვრება წესიერ კალაპოტში ვერ ჩაუყენებია. აღამიანის ბუნების სისუსტემ და შემცდარობამ ხელი შეუშალა საერთაშორისო სარბიელზე მომქმედ ძალებს სამართლიანად და ლირსეულად მოეთავებინათ საომარი მდგომარეობა... ისევ ისე წამოყენებულია ეროვნული პრინციპი. მას განსაკუთრებული პრიმატობა აქვს მინიჭებული კაცობრიობის ცხოვრებაში. მისი მიჩქმალვა, მისი აბუჩად მივდება ძვირად უჯდება მუშვიდობიანობას მოწყურებულ ქვეყნიერებას. ხელახლა წამოვიდა ეროვნული ტალღა, რომელიც ჰლამობს გამოსცვალოს მსოფლიოში ამჟამად გაბატონებული განწყობილება. გარემოება კიდევ განაგრძობს ზოგიერთ ერების ჩავერას და აღვას უქადის. ჩვენ, ქართველები სწორედ ამ ერთა რიცხვში ვართ მოქცეული. დროა გულმოდგინეთ სათანადო ყურადღებით შევაფასოთ ამჟამინდელი მდგომარეობა, რათა არაფერი გამოგვეპაროს და შემდეგმა თაობებმა არ დაგვძრახონ: სათანადო ნიადაგი გეშლებოდათ წინ, თქვენ კი არა გააკეთეთ რა თავისუფლების მარად მონატრულ ხალხისთვისო. უნდა მოვემზადოთ რიგიანად, რომ შემდგომ ამასწინდელურად არ დავიწყოთ „თითზე კბენანი“. უნდა ჩავხდეთ ლრმად ყველაფერს, რომ მთელი ენერგიით, სრული მხნეობით, მედგარი ინტენსიონით განვაგრძოთ მუშაობა უხსოვარ დროიდან დაწყებული, მირიან მეფის, დავით ალმაშენებლის, დიდი თამარის დროს განსაკუთრებით განმტკიცებული, შემდეგ შეფერხებული მონგოლთა შემოსევის გამო, მე-17—18 საუკონეში კიდევ ოდნავ გაცხოველებული და მე-19-ში მოლალატე მოკავშირეს ბატონობის ქვეშ ჩვენს პოტენციალურ ძალასთან შედარებით სუსტად გამოჩენილი. მეოცე საუკუნემ უნდა დაანახვოს მსოფლიოს, რომ ახლანდელ ქართველში გაიღვიძა ძველმა რაინდმა, ვისიც უპირველესი სათაყვანო იარაღი იყო მალალი ზნეობა, მანათობელ ძველ ივერიის ეკლესიის მიერ ბოძებული, რამაც ჩვენ განგვაახლა, ძალა შეგვმატა და განგვანათლა ჭეშმარიტად. ახლანდელი ქართველობა ოდესმე უნდა გახდეს ლირის თავის სახელოვანი



წინაპრების ცხოველმყოფელ პატარა ერის, რომლის მარადიული ცხოველი მიმწერებას. ერთხელ ბინა გამოცვლილი, სადღაც კლდეებში მიმწყვდეული, ცოცხალი, მედგარი, შეუპოვარი, იგი ლამობს ძველ ისტორიულ კულტურულ ცხოვრების განგრძობას მიუხედავად ხშირად თითქმ უძლეველ საშინელ შემაფერხებელ პირობების და გარემოებისა. ჩვენი ერი მუდამ წარმოადგენდა ერთად ერთს სახელმწიფოს მთელ კავკასიაში. ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში დავით აღმაშენებლის დროს უჩვენა მან თავის მეგობრულად ან მტრულად განწყობილ მეზობლებს, თუ რას წარმოადგენს ქართველი საჭირო დროს მრისხანე და კვლავ დამყვავებელი; როგორ აწყობს ის სახელმწიფოს, სადაც ყველანი სარწმუნოების და ეროვნების განურჩევლად :პოულობენ მშვიდობიან ცხოვრებას და წარმატებას. ახლაც ქართველობას ევალება ძველებურად იტვირთოს დაწყება და მომზადება დიდი საჭმის — კავკასიის აღორძინებისა კავკასიელ ხალხთა უზენაესი თანხმობითა და კურთხევით. ასეთ თანხმობას და ერთობას კავკასიელ ერებისას მოითხოვს უპირველეს ყოვლისა თვით თავისუფალ საჭართველოს სიკეთე. ამ სანეტარო მდგომარეობის მოსაახლოებლად საჭიროა ყველა კავასიელმა ერმა თავის აღორძინების საჭმე მოაწყოს ჭეშმარიტ ეროვნულ საფუძველზე. ყველამ უნდა ჩავიხედოთ თავთავიანთ წარსულში როგორც სარკეში. უნდა ვეზიაროთ წყაროს, რომელსაც ხალხის სანატრელ „უკვდავების წყაროს“ თვისებები აქვს თანდაყოლილი. ეს დაგვანახვებს მონათესავე უამრავ რაინდებს, გმირებს, მათ ზნეს, მათ ჩვეულებას, მთელ მათ ცხოვრებას. ამოვკრიბოთ, რაც გამოგვადგება! ძველების მავალითმა უნდა შეგვძინოს და აღვიზარდოს „მამების მჯობნი“ შვილები. ძველ რომაელებისავით უნდა შევქმნათ წინაპართა კულტი! ეს ხსოვნა უნდა გავაძლიეროთ! უნდა გავაღვიოთ ისტორიულ გადმონაცემ ნაცარში მიმალული ნაკვერჩელები! უნდა ავაგუზგუზოთ საკუთარი ძლიერი სულიერი „სახმილი“! დროს შესაფერად მოწყობილმა დიადმა „ბრძმედმა“ უნდა შეგვიქმნას ფოლადი ვაჟკაცები ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით, რაც ჰგულისხმობს ლონის და გონების ჰარმონიულ თანაბრობას. ქართველი ერის სიმბოლო ხომ მუდამ ბრწინვალე ვაჟკაცი იყო! თუ დღეს თვალწინ გვიდგას წმ. სებასტიანივით ჯვარცმული ჭაბუკი ცოცხალი თვალებით და ისრებით გაგმირული სხეულით, მომავალში გვეხატება გამარჯვებული თეთრ სამოსელში გამოწყობილი, თეთრ რაშე მჯდომი წმიდა გიორგი, სიავის დამთრგუნველი.....

რა უბედურებაშიაც არ უნდა იყვეს დღეს სამშობლო, გვწამს, იგი უეჭველად ფენიქსისებრ განახლდება. ამის თავმდებია ის აწ აღსაღენი „სულიერი სახმილი“, რომლის წყალობით შევრჩით კიდევ ზედაპირზე. ერთს წუთს წარმოვიდგინოთ, რა სიძლიერე უნდა ჰქონოდა მას უმალ?! დიალ! უნდა ავაყვაოთ ხელახლა ნაციონალური კულტურა— „ეს უხილავი ხილი ხალხის ძველ მოგონებათა და ჯერ არ შობილ, მაგრამ დასაბადებლათ დამზადებულ შესაძლებლობათა“ შუა. სიტყვა უკ-

ვე ბევრი ითქვა. საჭიროა აწ საქმე! უნდა შევუდგეთ მას, რათა „ძველი ივერი“ აღსდგეს კვლავინდებურად და ხმა მისი ძლიერი, თანაც მშვიდობიანობის მომასწავებელი, გაისმას ძველებურად, ხოლო უფრო ბედნიერად განახლებულ მსოფლიოში, სხვა უკვე ზეწამომდგარ ერთა გუნდში.



ჩრდილოეთის პოლუსი

კარგა ხანია, რაც ერთი ჯურის მეცნიერები გულმოდგინეთ იკვლევენ, თუ რამდენად მტკიცედ არის გამაგრებული ჩვენი სამყაროს ჩრდილოეთი პოლუსი. ზოგიერთების შეხედულებით — დედა მიწის შუა გულში გაყრილი ღერძი დიდ რყევაშია და ადრე თუ გვიან მთელი ევროპა — ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ — მთელი ჩრდილოეთი კვლავ გაცივდება, მას ყინულის სქელი სარკე გადაეკვრება. მაშინ ჩრდილოეთი ევროპის მცხოვრებთა ბინადრობა ძირიანად შეირყევა და ხალხთა ახალი გადასახლება დაიწყება.

ეჭვს გარეშეა, დასახელებული დარგის მეცნიერები თავიანთ კვლევით საგანს განსაზღვრული თვალსაზრისით უყურებენ და მით მთელ დედამიწას გეოგრაფიის მიხედვით სჭვრეტენ. ეს მათი კუთვნილი დარგია და პოლიტიკოსები, სახელმწიფოთა მართველ-ხელმძღვანელები ამ საქმეში არ ერევიან. უკანასკნელთ უმთავრესად სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი საკითხები აინტერესებთ და ამათ გეოგრაფიული რუქის მაგივრათ პოლოტიკური რუქა აქვთ გადაშლილი და ამ კუთხიდან გაჰყურებენ, ამ პრიზმიდან სჭვრეტენ მსოფლიო საკითხებს.

რამდენად სწორი და მართალია მკვლევართა გეოგრაფიული შეხედულება — ამის შესახებ თქვენი მონა-მორჩილი ვერაფერს ვერ იტყვის, ვინაიდან, ამისი სრულიად არაფერი არ გაგვეგება. ამიტომაც მათ შეფასების სამართლიანობას თუ უსამართლობას გვერდს უვლით. რაც შეეხება პოლიტიკური რუქათა განხილვის საკითხს — ჩვენც გვინდა შეძლების დაგვარად შევეხოთ და ჩვენი მცირეოდენი აზრი ჩვენს მკითხველს გაუზიაროთ.

ევროპის სახელმწიფოების ჩრდილო პოლუსი — უკანასკნელად, დიდი ომის დაწყებამდე, როგორც ვიცით, ლონდონიდან იწყებოდა, აქ ედვა სათავე და ამ ღერძის გარშემო ტრიალებდა მსოფლიოს პოლიტიკა. დიდი ბრიტანეთის იმპერია იყო მსოფლიო პოლოტიკის შუა გული და აქედან ეძლეოდა მას გეზი და მიმართულება. ეგრად წოდებული სამხრეთის პოლიტიკური პოლუსი ბრიტანეთის იმპერიის გარე რჩებოდა და მთელი ევროპის პოლიტიკა ლონდონის გარშემო ტრიალებდა. სწორედ ამ ღერძის გარშემო ტრიალებდა დანარჩენი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაც. სახელმწიფოთა გადაჯგუფ-გადმოჯგუფება, ურ-



თიერთა შორის კავშირის გაბმა ლონდონის ზედგავლენით ხდებოდა. ლონდონი იყო გული და აქ ისკვნებოდა სხვა და სხვა სახელმწიფოთა სამეგობრო თუ სამტრო კავშირები. კვლავ ვიმეორებთ, დიდ ომამდის ლონდონის ანუ დიდ ბრიტანეთის გავლენა ევროპის სახელმწიფოებზე მეტად ძლიერი იყო და მისი სურვილის წინააღმდეგ არც ერთი ღირს შესანიშნავი ნაბიჯი არ გადადგმულა.


ინგლისისათვის სამხრეთის პოლიუსის საკითხი დიდათ თავსამტვრევი არ იყო და ახალშენთა მცხოვრებნი და თვალუწვდენელი კოლონიები მცირეოდენი შეიარაღებული ძალების მეოხებით შეეძლო დაემორჩილებინა. მთავარი საზრუნველი იყო ჩრდილოეთის პოლუსი; ოლონდ ლონდონის შერჩენოდა მთავარი ძალა-უფლება, ოლონდ ლონდონი ყოფილიყო ევროპის სახელმწიფოთა სათავეში, ოლონდ პოლიტიკის სადავები ინგლის სკეროდა ხელში.

მაგრამ ლონდონის პოლიტიკა არც ისე უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა; ისტორიის ხანგრძლივ მანძილზე მას ხშირად მეტად დამაფიქრებელი მოწინააღმდეგენი უჩნდებოდნენ და პირველობას ეცილებოდნენ. ევროპის სახელმწიფოების დამორჩილება არც ისე ადვილი იყო, და მას სერიოზული შეტაკება უხდებოდა; განსაკუთრებით, ევროპის ხმელეთის სახელმწიფოები ისე გაძლიერდებოდნენ ხოლმე, რომ მისი გაბატონების პოლიტიკა ხშირად საგრძნობლად ირყეოდა.

ხითათი თავიდან რომ აეცილებინათ, ლონდონის პოლიტიკოსებმა მოხერხებული საგარეო გეზი შეიმუშავეს, რომლის მეოხებითაც თითქმის ორასი წლის განმავლობაში ევროპის კონტინეტზე სახელმწიფოთა შორის თანასწორობას იცავდნენ. ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობის სასწორი ხელთ ეპყროთ და ულელს არც იქით და არც აქეთ არ ხრიდნენ. მხოლოთ ერთი მთავარი უფლების შენარჩუნებით: ევროპის საგარეო პოლიტიკის ცენტრი ლონდონი ყოფილიყო. სახელმწიფოთა ყოველგვარ გადაჯვალებას, ევროპის სახელმწიფოთა ყოველგვარ შეკავშირებას ურიგდებოდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს კავშირი გადაჯვალება ლონდონის პოლუსისათვის სახითათო ყოფილიყო.

ვინც ინგლისის საგარეო პოლიტიკას ოდნავ მაინც გასცნობია, ამბობს ერთი გერმანელი, ჰორსტ ფონ შლიხტინგი, ის უტყუარად დაასკვნის, რომ ინგლისის მესვეურებმა არც ხანგრძლივი მეგობრობა იციან და არც ხანგრძლივი მტრობა; ხანგრძლივ მეგობრობაზე თუ ხანგრძლივ მტრობაზე მას მზრუნველობა არ უყვარს და არც ასეთ პოლიტიკის მოტრფიალეა. დღეს შეიძლება ყველას მეგობარი-მოკეთე იყოს, ხვალ წინააღმდეგი ყველასი დაუძინებელი მტერი. ხან ერთს წამოსწევდა წინ, ხან მეორეს. ხშირად ერთი მეორეს უპირისპირებდა, ხშირად ომსაც აცხადებინებდა. მაგრამ ბოლოს გამარჯვებულ სახელმწიფოს ისე არ გაახარებდა, რომ იგი ინგლისის მსოფლიო ბატონობისათვის სერიოზული საფრთხე გამხდარიყო.

ასეთი პოლოტიკის მეოხებით ინგლისი დიდი ხნის განმავლობაში ძლევა-მოსილებით იყო აღჭურვილი და საუკუნეთა განმავლობაში ევ-



როპის საგარეო პოლიტიკას თავისებურათ და თავის სასარგებლოთ შა-
რთავდა. მთელი ევროპა ისეთ ჭახრაკში მოაქცია, რომ აქედან დაძვრე-
ნას ვერ ახერხებდა. ინგლისის პოლოტიკურ ჰეგემონიას თვით ნაპოლე-
ონი შეებრძოლა, მაგრამ იმანაც ვერ შესძლო ინგლისისათვის მართვე-
ლობის სადავები ხელიდან გამოეგლიჯა. მართალია, გერმანიის სახელ-
მწიფოს უდიდესმა აღამიანმა ბისმარკმა, განსაკუთრებით გერმანიის
გაერთიანების შემდეგ, ინგლისის პოლიტიკური ბატონობის უპირატე-
სობა ხშირად საფრთხეში ჩააგდო. მან საფრანგეთი ინგლისს აფრიკის
ახალშენებში მიუსია და იქ კბილის საღერლნი მატლი გაუჩინა. რუსე-
თიც შემდეგში მცირე აზიაში და ინდოეთში დიდ საფრთხეთ მოევლი-
ნა, მაგრამ ინგლისმა დიდის მოხერხებით ყველა ეს საფრთხენი თავი-
დან აიცილა და პოლიტიკური ბატონობის უპირატესობა არავისთვის
გადაუცია.

ბოლოს თვით ყოველმხრივ გაძლიერებულ - გალონიერებულ გერ-
მანიასაც დიდი მახე დაუგო და უკანასკნელი მსოფლიო ომის ქსელში
გააბა. როგორც ვიცით, მსოფლიო ომში გერმანია დამარცხდა და უძ-
ლიერესი, პირეველ ხარისხოვანი სახელმწიფო მეორე და მესამე ხარის-
ხოვან სახელმწიფომდის ჩამოახტუნა. ვერსალის ზავის მეოხებით გერ-
მანეთი უმნიშვნელო ძალათ გადაიქცა და მისი საშიშროება ვითომდა
სამუდამოთ თავიდან აიცილა.

ახლა წინ წამოუდგა გამარჯვებული საფრანგეთი და ლონდონის
პოლიტიკური პოლუსის გადმოტანა პარიზში მოინდომა. ერთ ხანს სა-
ფრანგეთი კაცობრიობას ჰყარნახობდა და ინგლისი თითქოს უკან მის-
დევდა. ამ ორ გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის დიდ ხანს სწარ-
მოებდა პირველობისათვის მიწევ მოწევა; საფრანგეთი პოლიტიკური
სიმძიმის პარიზში გადმოტანას აპირებდა, ინგლისი კი ცდილობდა, ტრა-
დიციულად ლონდონში დარჩენილიყო პოლიტიკური ბატონობის ბინა.
ასეთ პოლიტიკური გაწა-მაწიაში ევროპის კონტინეტზე სახელმწიფო-
თა ახალი გადაჯგუფება მოხდა. დამარცხებული და გათელილი გერმა-
ნია კვლავ ძლევა-მოსილებით შეიჭურვა, ვერსალის ზავის დოკუმენტე-
ბი დაიხა და ევროპის ხერხემალი უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა.

განიარაღებულმა გერმანიამ მხარი გადააბა ევროპის მეორე დიდ
სახელმწიფოს — იტალიას; გერმანია-იტალია გადაება შორეულ ალ-
მოსავლეთის ამომავალ მზის სახელმწიფოს — იაპონიას და ამ სახით
გრძელი და მტკიცე ხიდი გაიდვა შუაგულ ევროპასა და შორეულ ალ-
მოსავლეთ შორის. ამ დღიდან მოკიდებული ლონდონში თავმოკიდე-
ბული ჩრდილოეთის პოლუსი შეირყა, აღგილი გადაინაცვლა და ბერ-
ლინში მტკიცე საძირკველი გაითხარა. ამიერიდან ბერლინ-რომის ლე-
რძის წვერი შორეულ ალმოსავლეთს სწვდება და ამ ლერძის გარშემო
ხდება ძლიერ, დიდი სამომავლო სახელმწიფოთა დაჯგუფებანი. ამა-
ოთ მოაზროვნეთ ეს ლერძი უმნიშვნელო ან დროებით მნიშვნელოვა-
ნი ჰგონიათ. ამ ჯურის პოლიტიკურ მოაზროვნეთ დღესაც ვერ დაუ-
ღწევიათ თავი იმ ტრადიციულ შეხედულებისაგან, თითქოს ლონდო-




ნის პოლიტიკური პოლუსის მნიშვნელობა სამარადისო მნიშვნელობისა იყო და მისი შერყევა შეუძლებელი რამ იყოს. მაგრამ ბერლინ-რომი-იაპონიის ლერძის მნიშვნელობა ახლო და შორეულ მომავალში, როგორც ევროპაში, ისე შორეულ ამოსავლეთში მეტად დიდია.

ამ გადაჯგუფებას ჯერ ჯერობით კარგი პირი უჩანს, ყოველ დღე მტკიცე საძირკველი ეყრება; დასავლეთ-აღმოსავლეთის სახელმწიფოები ძლიერ კავშირს ჰქონდენ. გერმანია ავსტრიის გაერთიანება მთავარი თავდებია დასახელებული კავშირის სიმტკიცისა. ფრიად საჩოთირო იქნება იმ სახელმწიფოს მდგომარეობა, რომელიც გეოგრაფიულად ამ კავშირს შუა გულში მოექცევა და ის კი სხვაგან დაიწყებს ცენტრას და გარეშე ძალიდან დაელოდება შველა - გადარჩენას. უკეთუ თავის გადარჩენა უნდა, მან აუცილებლად ამ დაჯგუფებაში უნდა ეძიოს თავისი ერის თუ სახელმწიფოს ბედნიერება და საკუთარი, დამოუკიდებლობის განმტკიცება. სხვა გამოსავალი, მეორე გზა არ არსებობს, მთელი აღმოსავლეთის სახელმწიფოებმა ბერლინ-რომის ლერძის გარშემო უნდა იტრიალონ. რეინ-დუნაის გზით მომავალი, დიდი ისტორიული გზა იკვერება და ამ გზის გარშემო ჩამოყალიბდება ხალხთა და ერთა მომავალი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრება. ამ გზის ზურგის შებრუნება შეუძლებელი და ამავე დროს დამლუპველი იქნება. რაინ - დუნაის გზა, მისი სამემრისო მნიშვნელობა დღევანდელი საქმე არ არის. ამას მეტად გრძელი ისტორია აქვს და ამ საქმის სათავე შორეულ წარსულიდან მომდინარეობს.

ძველი რომაელები რეინ - დუნაის გადაბმაზე ოცნებობდნენ. თვით კარლოს დიდი 793 წ. ფიქრობდა რეინ-დონაუს ვეისენბურგთან არხის საშუალებით შეერთებას და დიდი სავაჭრო მისვლა-მოსვლის გაჩაღებას. დრო გამოშვებით ეს საკითხი სხვა და სხვა ვითარების გამო თითქოს დავიწყებას ეძლეოდა. მაგრამ როგორც გარემოება ხელს შეუწყობდა, კვლავ ეს საქმე გაცხოველდებოდა და სახელმწიფოს მართველები სისრულეში მოყვანას სცდილობდნენ. ბავარიის მეფე ლუდვიგ პირველი 1836—1840 წ. იწყებს ბამბერგ-კელპეიმთან არხის გათხრას რეინ-დონაუს შესაერთებლად. ერთი სიტყვით, ამ ორ დიდ მდინარეების შეერთება მუდამ ცხოველი საქმე იყო და მისი განხორციელება თვალიდან არავის გამოპარვია.

დღეს, დიდი გერმანეთის შექმნა, ავსტრიის შემოერთება უდიდესი მოვლენაა, რომლის მეოხებით რეინ დუნაის შეერთება, დიდი ნაოსნობის გაჩაღებას და ჩრდილოეთის ზღვის შავ ზღვასთან შეერთებას მოასწავებს. რეინ-დუნაის შავ ზღვაზე გასვლა უბრალო საქმე არ არის, გერმანიას შავ ზღვაზე გასვლა სასეირო - გასართობად არ უნდა, არც საექსკურსიოდ. ორი მდინარის შეერთებით, შავ ზღვაზე გასვლით კვლავ აღდგება ძველი ისტორიული სავაჭრო გზა, რომელიც ახლო და შორეულ აღმოსავლეთს დაახლოებს. მიზანი დასახულია, საშუალება გამოძებნილია დიდი მომავლის განსამტკიცებლად. გერ-



მანეთი გამოვიდა გაურკვევლობის ფარგლებიდან, მას ახლა გარკვეული მიზანი აქვს დასახული და მის განაღდებას თანდათანობით ანხორციელებს. ვალტერ შნეეფუსი თავის ახალ წიგნში სწერს: — დიდი ომის დაწყების დროს, თვით შუა ომის დროსაც კი გერმანიის მთავრობას და თვით გამარჯვებულ სამხედრო შტაბს გარკვეული გეგმა არა ჰქონიათ და არ იცოდნენ გამარჯვებული მხედრობის მიერ დაპყრობილი ახალი ქვეყნებისათვის რა უნდა ექნათ? თვით ომის პროცესის დროს იბადებოდა მხოლოდ შემთხვევითი ზომები ამა თუ იმ დაპყრობილი კუთხეების მართვა-გამგეობის შესახებ. ბელგიის ფლანდრები იქნებოდნენ, ფინლანდია, ალტიის მხარეები და იქ მოსახლე ერები თუ საქართველო, გერმანიის მთავრობისათვის და სამხედრო შტაბისათვის ერთგვარი გამოცანა იყო, რომლის საბოლოვო გადაწყვეტისათვის გარკვეული გეგმა არ ჰქონდათ. დროებითი ზომებით ცდილობდნენ რთული კითხვების მოწესრიგებას. კურლიანდიაში საპერკოგოს აარსებდნენ, საქართველო ვილჰელმ მეორის პროტექტორატობის ანაბარა უნდა ყოფილიყო და სხვა...

კვლავ ვიმეორებთ, ახალ და დიდ გერმანიას გარკვეული მიზანი და მისწრაფება აქვს დასახული, დიდი სამომავლო გეგმა ჩამოყალიბებული, რომელიც ხალხთა თანამშრომლობისა და ურთიერთა მეგობრულ განწყობილების პრინციპზეა დამყარებული. გაზ. „ახალი გერმანიის“ ერთ-ერთი თანამშრომელი ჰორსტ ფონ შლიხტინგი სწერს: — დიდ გერმანეთის სახელმწიფოს სრულიად შეგნებული და გარკვეული აქვს ევროპისა და ამასთან დაკავშირებული მსოფლიო პოლიტიკა. გერმანიის მიზანია მხნეთ და უფრო გაძელულად ვიდრე დღემდის, ძველი და მიძინებული აღმოსავლეთი გააჯანსაღოს, გაახალგაზღაოს. ახლა ბერლინიდან იწყება ევროპაში ამინდის ცვლა, ახალი სიოს დაბერვა. გერმანია თავის ახლობელ და შორეულ მეზობლებთან არ აპირებს, როგორც საფრანგეთი, ინგლისი და ჩეხოსლოვაკები, სამხედრო კავშირის დადებას. ჩვენ ვიცით მხოლოდ და მხოლოდ დიდბუნებოვანი კულტურული ხელშეკრულება, რომლის მეოხებითაც ერებთა შორის სრული მეზობლური, ურთიერთაშორის ნდობა იქნება განმტკიცებული. ვიცით მხოლოდ რიგიანი ეკონომიური ხელშეკრულება ხალხთა საბედნიეროთ და სადლეგრძელოდ.

რამდენად გერმანელებისათვის ძვირფასი და საპატიოა თავისი ხალხის ლირსება და თავისუფლება, იმდენადვე პატივითა და ლირსებით ექცება სხვა ერების ლირსებასა და ეროვნულ თავისუფლებას. ამ რწმენით შედის გერმანია ჰიტლერის მეთაურობით ახალ ისტორიაში-ო! ასე ათავებს ჰორსტ ფონ შლიხტინგი თავის სტატიას. ჩვენ მეტი რა დაგვრჩენია — ვუსურვოთ ამ იდეის განხორციელება და გამარჯვება!

საერთო სამაგისტროს შეგნებისათვის

ფრიად ულაზათო მოვლენამ იჩინა თავი კავკასიის ემიგრაციაში. ყველას გვეგონა, რომ ღრმად შეგნებული გვაქვს კავკასიის ერთა ფერაციის იდეა. ხშირად ყოფილა აღნიშნული, რომ ეს შეხედულება „არ ახალია ძველია“. ბევრჯელ გაგვხსენებია ილიას ლამაზი ლექსი „საერთო კავკასიაზე“ „აჩრდილიდან“, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერთლის და მათ თანამოაზრეთა ოცნება კავკასიელთა სახელმწიფოთვე. 1832 წლის შეთქმულთა განზრახვა ამ დიდი იდეის განხორციელებისა და ბოლოს აქვე უცხოეთში კავკასიელთა ზოგიერთი წრეების მიერ შეკრული პაქტი, და მივსულვართ იმ დასკვნამდე, რომ ყველას ჩვენ შეგნებული გვაქვს მთლიანი კავკასიის დაარსების აუცილებელი საჭიროება. გერმანიაში გამოჩნდა კიდევ მთელი მოძრაობა ლოზუნგით ანუ „ქართლოსიანთ“ რომ დავესესხოთ — ყიუინით „გაუმარჯოს საქართველოს და მთლიან კავკასიას!“. და ამის და მიუხედავად ამ ბოლო ხანებში ვრწმუნდებით, რომ ჯერ კიდევ ბევრს არა აქვს სრულიად წარმოდგენილი ეს დიდი იდეა კავკასიელ ხალხთა პოლიტიკურ რმოწყობისა. შეგნებული, რომ გვქონოდა ყველა ეს, განა ავყვებოდით გულისთქმას, მივრვიწყებდით ზრდილობას და მოვაწყობდით დემაგოგიურ ორომტრიალს ჩვენივე მოძმე-მეზობლის წინააღმდეგ. რომლის მთელი დანაშაულობა იმაში მდგომარეობს, რომ მან წრთელად და მოუკატუნებლად მიგვითითა საჭირობოროტო და საჭოვანო საკითხებზე, რომელიც წარმოშვა ჩვენმა სინამდვილემ? ეს საკითხები აქამდინ მიჩქმალული იყო. ვერავინ ჰბედავდა ამაზე ლაპარაკის ჩამოგდებას: ეშინოდათ უთუოდ თავი რისთვის შევიწუხოთო. ევროპაში ევროპიელობა დაგვაუიწყდა და ჩვენს მეზობელ-მოყვარეს ვინ იცის რა არ ვაკადრეთ? რა ნება აქვს ლეკს ჩვენს ქართულ საქმეებზე ილაპარაკოსო! დაგვავიწყდა, რომ როცა კავკასიის ბედ-ილბალზეა ლაპარაკი, აქ გარჩევა, ვინ რომელ კავკასიელ ტომს ეკუთვნის, უადგილოა სრულებით. მაშინ ვინ მოგვცემს ქართველებს უფლებას ვილაპარაკოთ ბაქოზე, დარუბანდზე, განჯაზე და სხვ.? ახლო მეზობლობა ნებას არ გვაძლევს უტიფრად და უხეშად ვექცეოდეთ ერთმანეთს. თუ რამ არ მოგვწონს, ამის აღნიშვნა ყოველთვის შეიძლება დინჯად და დარბაისლურად. მამლაყინწური მიწევ მოწევა შეეფერება მხოლოდ უპასუხისმგებლო ელემენტებს, სხვას არავის. დასწეულებულ ემიგრაციაში, საღაც კუთხური პატრიოტობაც კი გაჩნდა, მხოლოდ ასეთ გარემოებაში შეიძლებოდა დაბადებულიყო წადილი რომელიმე ხალხის სახელის სალანდლავ ან საძრახ სიტყვად გამოყენება ამ ხალხის შვილის ან მისი ნათესავის გასაწილებლად. საზოგადოთ ემიგრაციაში და ჩვენსაში განსაკუთრებით თავი იჩინა ბევრმა ამორალურმა მოვლენამ, რომლის გამომზეურება ვალად გვადევს ყველა მაულიშვილთ. დღეს აღვნიშნეთ ერთი ამათგანი. მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს პირდაპირ საგანს.

დიალ! ამ უკანასკნელ ხანს დიდი ზიანი მივაყენეთ ჩვენ, ქართველიან!

ლებმა, კავკასიურ სამეზობლო ურთიერთობას. მოიერიშეთ პგონიათ, რომ უმიზნეს მარტო ერთ პირს, მაგრამ სცდებიან! მოხვდა ყველა ჩვენს მეზობელ ხალხს — ისეთი შეუგუებლობა, შეურიგებლობა და უტიფრობა გამოვიჩინეთ. თვით ისინი, რომელნიც ბევრს ჩვენთაგანს ჩვენს, მხარეზე გვეგულებოდა, სწორედ ესენი გაყუჩებულნი დგანან და ყველაფერს თითზედ იხვევენ. როცა ლეკობით უწუნებ ამ ხალხის შვილს წარმოთქმულ აზრს, განა ამით მთლად არ ააშკარავებ შენს ზრახვებს?! საზოგადოდ ჩვენი სიბეცე იმაშიაც გამოიხატა, რომ ჩვენმა ერთმა ნაწილმა ქართული მონარქიული იდეა დღის წესრიგში წამოაყენა, რაც არ შეიძლება დანარჩენ კავკასიელებს არ მიელოთ სხვაფრივ. ეს სრულებით არ იყო საჭირო ამ უამაღ.. მერე ამავე ჯგუფმა საჯაროთ განაცხადა მომავალ მონარქიულ სქროველოში მიწის შეძენის უფლება არ უნდა ჰქონდეს ქართველებს შემდეგ არც ერთ ხალხს გარდა აფხაზებისაო. ესეც დიდი უნდობლობაა დანარჩენ კავკასიელთა მიმართ და ზიანი მოაქვს კავკასიის გაერთიანების იდეისათვის. ეს ამტკიცებს ჩვენი ემიგრაციის არა სერიოზულობას. მაშინ როდესაც მთლიანი კავკასიის იდეა შიშის ზარსა სცემს კავკასიელ ხალხთა მტრიბს.

როდესაც მოსკოვი შლის თავისგანვე დაარსებულ ამიერ-კავკასიის ფედერაციას, გამოჰყოფს სამ კავკასიელ რესპუბლიკას და თვითეულს ცალკე იკავშირებს, აი ამ დროს საზღვარგარედ მთლიან კავკასიის იდეისათვის რაიმე ზიანის მიყენება დიდი დანაშაულია, სიბეცე და უგუნურება. მერე რა საწყენია გამოთქმა „დალესტანელი ქართველნი“! ეს საძრახისი სიტყვა კი არ არის, არამედ საამაყო. ჩვენც გვითხრეს ერთს კავკასიელს უთქვამს ჰაიდარ ბამატზე ქართველი ბამატიო, მაშეს საწყენი უნდა იყოს „კავკაზის“ გამომცემლისათვის?! ლმერთო ჩემო, რაზედ ვლაპარაკობთ და რა საანბანო ჭეშმარიტებათა მტკიცება გვჭირდება უნიჭო, უმეცარ და კადნიერ ემიგრაციაში დიდ ისტორიულ, ბევრი რამის თავდაყირა დამყენებელ ამბების დროს! ეჭ, მახლას!... გრძანებენ. კიდევ „მოსყიდულნი თანამშრომელნიო!“ ამას წამოისვრის მხოლოდ თვით ზნეობა-მოკლებული, ქანქარის მოყვარული, თორემ პატიოსანი უსაბუთოდ როგორ იკადრებს ასეთი ბრალდების წამოსროლას? თუ ასეთ ძვირფას ძალად მიგაჩნიათ ესენი, რომ თქვენი წარმოდგენით „მტერი“ ყიდულობს მათ, სცადეთ და თქვენც გადადგით ასეთი ნაბიჯი, (სალსარი, ხომ მრავლად მოგეპოვებათ). იქნებ დარწმუნდეთ! საბრალო ხალხი! იმასაც ვერ ხედავს, რომ თუ მოლაქლაქეთ დავუჯერეთ მთელი ემიგრაციაა მოსყიდული ვისგანმე, რადგანაც არ დარჩენილა არც ერთი თვალსაჩინო პირი ან ჯგუფი, რომ მოპირდაპირებისაგან ამნაირად არ იყვნენ შეფასებულნი. თუ ასეა საჭმე, რალას ვყაყანობთ? მთლად დაყუპვის გზაზე შევმდგარვართ. მაგრამ რა საჭიროა ბევრი ჩიჩინი. თვითონაც მეტად კარგად იციან ვინ არის ჴ. ბამბატი და მისი ზანამშრომელნი, რომელნიც სრულიად წავისუფალნი არიან თავიანთ აზრთა და შეხედულებათა გამოთქმის დროს. უწყიან დანამდვილებით, რამდენად სერიოზულია კავკასიელთა ეს საწყისი. სწორედ

ეს არის, რომ მათ გულს უკლავს და გონებას აკარგვინებს. „კავკაზის“ არა სჭირდება მოლაქლაქე ემიგრაციის იაფ-ფასიანი ტაშის კვრა და ცრუ პათოსი.

ის ხალხი, რომელიც ამ ემიგრაციის „მჩხავანა კატებს“ ჩვენს ეროვნულ საქმეს არა სჭირდება. ეს ძნელი რთული საქმე მოითხოვს მსხვერპლს, დიალ დიდ მსხვერპლს! ამის გამლები გამოჩნდება... ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მთლიანი კავკასიის იდეა ცხოველმყოფელი იდეაა. ეს აზრი ჩვენ ყველას გვასულდგმულებდა ამ 20 წლის წინადაც. ასე რომ არ ყოფილიყო, რა დამაწერინებდა მაშინდელ მთიელთა ორგანოში სახელით „სევერნი კავკაზში № 9, 1 თებერვალი 1919 წ. მოწინავე წერილს სათაურით „სალამი მთიელებს.“ თუ ვისმეს უპირველეს ყოვლისა ეკუთვნის წოდებულება „კავკასიელი“ ეს ჩრდილო კავკასიის მთიელ ხალხებს, რომელთა მიერ ახლად დაარსებულ რესპუბლიკის გამო ჩვენ ვწერდით:

„ჩვენ, ბარში მცხოვრებნი, როგორლაც უყურადღებოდ, თითქმის ფუქსავატურად, ვეპყრობით დესპოტიურ მეფურ რუსეთის მოხელეთა მიერ შემოლებულ გეოგრაფიულ ტერმინოლოგიას და ნომენკლატურას. „ზაკავკაზიე“ ჩვენი სახელი, ჩვენი ტერმინი არ არის.. ჩვენ კავკასიის მობინადრენი ვართ და ამიტომ ვერ შევეგუებით ვერავითარ სხვა სახელებს, რომელნიც ჰარავენ მარტოდენ ჩვენს კუთვნილ ჩვენ ყველასი გამაერთიანებელ ძვირფესს სახელს. მარტო კავკასიელებისათვის უცხო გავლენის წყალობით თითქო ვერ შევეთვისეთ შეხედულებას, რომ ყველანი ჩვენ კავკასიაში უნდა გაერთიანებული ვიყვეთ ერთი აზრით, ერთი გრძნობით. კავკასიაში ყველას გვეყოფა ადგილი. საჭიროა მხოლოდ ჩვენ ერთმანეთისა გვესმოდეს და ურთიერთისადმი პატივისცემით ვიყვეთ ალჭურვილნი“... „და ჩვენში, კავკასიაში, ჯერ-ჯერობით არსებობდნენ ცალკე სახელმწიფო ერთეულები! და ერთ-მანეთს განესაზღვრონ ისინი სტრატეგიულადაც! სულერთია, ადრე იქნება თუ გვიან, ბოლოს და ბოლოს თვით საქმეთა ძალის გამო, ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობიდან გამომდინარე მიმართულების წყალობით, განსაკუთრებით საერთო სარგებლიანობისა და კეთილდღეობის გულისათვის ჩვენ მივალწევთ აუცილებლად იმას, რომ უფრო მეტი მჭიდრო კავშირი დამყარდება ჩვენში ურთიერთ შორის და შეიქმნება გაერთიანებული სახელმწიფო, სახელდობრ კავკასიის ფედერაცია. პოლოტიკურ გამოსახულებათა სფეროში, დიალ, ბედმა არ გვარგუნა ახალი რამის აღმოჩენა. ჩვენ მივემართებით გათელილი ბილიკით. ჩვენი იდეალი — შვეიცარიის ფედერაცია! ჩვენი გზა: დამოუკიდებელ რესპუბლიკებიდან კონფედერაციით — ფედერაციისაკენ. ეს მტკიცედ უნდა შეითვისონ ყველა ჩვენმა კავკასიელმა პოლიტიკოს მოლვაწეებმა, მმართველიდან მოყოლებულმა უკანასკნელ მოქალაქებდე, რომელთაც კი წრფელად სურთ თავიანთ სამშობლოსათვის თავისუფლება, დამოუკიდებლობა და კეთილდღეობა. ამ ბედისაგან მიჩენილ გზას ვერ ასცდება ვერც ერთი წინდახედული ერი კავკასიისა“...

ჩვენ ვუსურვებდით მაშინ ახლად დაარსებულ მთის რესპუბლიკური მთის მაპატიო შუამავალი გამხდარიყო დანარჩენ კავკასიელ ხალხთა შორის მათ უთანხმოების დროს სრული მშვიდობიანობის დასამყარებლად... ასე ვფიქრობდით მაშინ ჩვენ უველანი. ახლა რა დაგვემართა? რამ დაგვაეჭვიანა? სერიოზული მიზეზები არა არის რა. ამბობენ ორი ენტაციის საკითხიაო. რომ ჩრდილო კავკასიელი და აზერბეიჯანელი სათურქოს მოყვარული იყოს, აქ რაა გასაკვირველი? ხომ არიან ჩვენში რუსოფილებიც? ზოგი თქვენს უმორჩილეს მონასაც ამ უკანასკნელებში სთვლის, მაგრამ ჩვენ უველანი, ვისაც გვწამს მთლიანი კავკასია, ჩვენ უნდა ვიყვეთ თურქოფილებიც, ირანოფილებიც! ვიქნებოდით რუსოფილებიც, რომ ეს ჩრდილოელი მეზობელი გაგვანთავისუფლებდეს თავის ტორებისაგან... მართლაც ნეიტრალური დამოუკიდებელი თავისუფალი სახელმწიფო ვისზედ უნდა იყო გულამრეზილი, თუკი მას არ-საიდან ერჩიან? ჩვენი კავკასიელი თანამოძმე ჩრდილო მთიელნი და აზერბეიჯანელები კისრულობენ თურქეთ-სპარსეთის მეგობრობის მოწყობას ჩვენთან და დამოუკიდებელ კავკასიის შექმნის საქმეში ხელის შეწყობას, ჩვენ-კი უმასპინძლდებით რისხვით და კრულვით?! იმიტო? ხომ არა, რომ მათ პირველად ჩვენს ურთიერთობაში პირდაპირ დაუფარავად თავის მოსაზრებანი გადმოგვიშალეს? ჩვენ არ უნდა ვუშლიდეთ მათ! დაე ყველაფერი გამოაშკარავდეს! უნდა დამყარდეს ერთეულაც არის პირდაპირობა და გულმართლობა ჩვენს პოლიტიკაში ჩვენ რისა გვეშინია? არც ჭიუა გვლალატობს არც სინიღისი. მე რწმენა არ დამკარგვია არც ქართველ, არც ჩრდილო მთიელ, არც აზერბეიჯანელ კავკასიელთა კავკასიურ პატრიოტიზმისა. ვწუხვარ მხოლოდ, რომ სომხებზედაც ამასვე ასე დაბეჯითებით ვერას ვამბობ. აქ ჩვენი ბრალი არ არის, რამდენადაც ვიცით მათ არა სწამთ თვითონ დამოუკიდებელი კავკასია. ისინი ხმელთაშუა ზღვისაკენ იცქირებიან, ჩვენ კი ეს თვალს გვჭრის.

მთლიან კავკასიას მოითხოვდნენ აგრეთვე ყველა ის გარეშე სახელმწიფონი, რომელთაც ჰქონიათ ჩვენთან საქმე. მაშასადამე აუცილებელია შეთანხმება კავკასიელ ერთა შორის. ქართველებს გვმართებს ღრმა ჩაფიქრება მსოფლიოს ამ საბედისწერო წამს. წყრომით, ბრაზმორევით და ბუტიაობით ვერას გავხდებით. ნერვულობა საქმეს მხოლოდ გაგვიფუჭებს. უკეთუ ვერ შევთანხმდით, მაშინ ან ისევ რუსეთი ჩაგვჭლაპავს, რა ფერისაც არ უნდა იყვეს იგი, ან ჩვენი კავკასია ბრძოლის ველად გადაიქცევა დაინტერესებულ მხარეების წადილთა დასაკმაყოფილებლად...

გრიგოლ დიასამიძე

ჩემს ბრალებები

(გაგრძელება)

— ბატონ მანველიშვილს თავის ბროშურის ეპიგრაფად მოჰყავს თი-
თქოს ფილოსოფოს კანტის მიერ წარმოთქმული ფრაზა: „სადც თავ-
დება მორალი პოლოტიკისა, — იწყება პოლიტიკა მორალისა“ 3. ამა-
თ ეძებს მკითხველი ბ. მანველიშვილის ბროშურაში თუ სად თავდება
მისთვის მორალი პოლიტიკისა და იწყება პოლიტიკა მორალის, და ამ-
ის მიზეზი მარტო ის კი არ არის, ბ-ნ მანველიშვილს დამახინჯებულად
მოჰყავს კანტის ფრაზა, რომ მასში სიტყვებს იმ სახით აქვთ აღგილი
გამოცვლილი კანტის დაუკითხავად, რომ ფრაზა ლებულობს აბსურ-
დულ ხასიათს; ბ-ნ მანველიშვილს თვით კანტის ნაწარმოები არც წაუ-
კითხავს, მას მხოლოდ სადღაც გაუგონია ეს ფრაზა და მექანიურად
იმეორებს მას. რაც შეეხება არსებითად ბ-ნი მანველიშვილის ბროშუ-
რას, მასში არ არის ერთი სტრიქონიც, რომელიც კანტის რომელიმე
დებულებას ეთანხმებოდეს, და ეს კი იმიტომ, რომ რამდენადაც ჩვენ
ვიცნობთ კანტის ნაწარმოებს, მათში არ არის ერთი სტრიქონი, რო-
მელიც ბ-ნ მანველიშვილისათვის იყოს გასაგები, მას საამისოდ აკლია
მეთოდოლოგიური მომზადება, მისი აზროვნების სტილი არის მეტად
პრიმიტიული და ანტიმეცნიერული.

უურნალი „კავკაზი“ არ არის შეუღლებული რომელიმე ფილოსო-
ფიურ სისტემასთან, ის არის პოლოტიკური ორგანო და როგორც ასეთი
ის გამოდის კავკასიელ ერთა რეალურ პოლიტიკურ ინტერესებისგან
და მათ წინაშე ისტორიის მიერ დაყენებულ საკითხებს საღი შეგნების
ნიადაგზე სწყვეტს. ეს არის საუკეთესო გზა პოლიტიკაში იდე-ფიქსების
თავიდან ასაცილებლად, რომელშიც ადვილად ვარდება ქართული აზ-
როვნება.


ჩვენ კი პირადათ დიდი პატივისმცემელი ვართ კანტის ფილოსო-
ფიური და მასზე აღმოცენებული პოლოტიკური დოქტრინის. ამიტომ
ძალიან სასიამოვნოთ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ბ-ნი მანველიშვი-
ლი ფორმალურად მაინც ლებულობს კანტის სამსჯავროს. ჩვენ დიდის
კმაყოფილებით გავყვებით მას ამ სამსჯავროში. თუ ჩვენ ვღებულობთ
კანტის ფილოსოფიას, იმიტომ რომ ეს ფილოსოფია არის ქრისტიანუ-
ლი დოქტრინის მეცნიერულ ენაზედ გადატანა, და ჩვენ კი ქართველი-
სათვის დანაშაულად მიგვაჩნია რომელიმე დოქტრინის მიღება, რომე-
ლიც ქრისტიანიზმთან შეუთანხმებელია. დარწმუნებული ვართ, რომ
თუ მარქსიზმმა ასე თავისუფლად ინავარდა რუსეთში და საქართვე-
ლოში, იმიტომ, რომ იქ აზროვნობას არ გაუვლია კანტის ფილოსოფიის
გამაჯანსაღებელი სკოლა. დასავლეთ ევრპაში კი კანტის ფილოსოფიის
ცხოველ მყოფელმა სხივებმა შეანათეს თვით მარქსისტულ ბანა-
კში და სწორედ ამ გარემოებამ შეკვენა დასავლეთ ევროპაში მარქსი-
სტულ მოძრაობის წიაღში მძლავრი რეფორმისტული ოპოზიცია დამშ-



ლელ, გამანადგურებელ რევოლუციონიზმის წინააღმდეგ და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებრივობა გადაურჩა მარქსისტულ ტალღებს.

ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი შპენგლერი ამბობს, რომ კანტის მიერ შემუშავებული აზროვნების ფორმები დასავლეთ ევროპიელთა აზროვნების ფორმები არიან, რუსეთისა და საზოგადოთ აღმოსავლეთისათვის ეს ფორმები მიუწვდომელნი არიან და მათთვის კანტს მხოლოდ კურიოზიტეტის მნიშვნელობა აქვსო. სამწუხაროთ, ჩვენს მიმართ სავსებით გამართლდა შპენგლერის შეხედულება. ჩვენში ფილოსოფია არა თუ სცდილობდა აზროვნობის გაჯანსაღებას მარქსიზმის გამრყვნელ გავლენისაგან, არამედ პირიქით ეხმარებოდა მარქსიზმს მის დამშლელ, ანტისახელმწიფოებრივ მუშაობაში. 1918 წელს, როდესაც საქართველო წარმოადგენდა უმეცრულ მარქსისტულ ექსპერიმენტის ობიექტს, ყველაზედ პოპულარულმა და განათლებულმა ქართველმა ფილოსოფოსმა თბილისის პრესაში საჯაროდ გამოაცხადა, რომ ისტორიამ მარქსიზმი გაამართლაო, რამაც მარქსისტულ ოფიციოზურ ორგანოში დიდი სიხარული გამოიწვია. მეორე ქართველი მეცნიერი ფილოსოფოსი, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის აკადემიური მასწავლებელი, საარჩევნო კომპანიებში პროპაგანდას ეწეოდა ანტისახელმწიფოებრივ უორჟ სორელის იდეებისათვის. აქ ფატალური როლი ითამაშა თანამედროვე ფილოსოფიურ განათლების იმ ნაკლმა, რომელსაც შპენგლერი თავის თანამემამულეთ უსაყვრულებს. იმ დროს როდესაც წარსულში სახელმწიფო მეცნიერების სფეროში ფილოსოფოსები გზის გამკაფველ როლს თამაშობდნენ, თანამედროვე თაობა ფილოსოფოსებისა მოკლებულია სახელმწიფოებრივ განათლებასო — აღნიშნავს შპენგლერი და მოჰყავს საამისოდ შესაფერი ფაქტებიც. თუ თანამედროვე ფილოსოფოსებზე შეიძლება იმის თქმა, რომ ისინი სახელმწიფო-მეცნიერულ განათლებას მოკლებულნი არიან, მით უმეტეს ითქმის ეს ძველ ფილოსოფოსებზე იმ განსხვავებით, რომ ისინი ეჩირებოდნენ პოლიტიკაში და ამით ახალგაზრდობას არა კეთილსინდისიერების და მეტიჩრობის მაგალითს აძლევდნენ, რომლის განსახიერებას წარმოადგენს ბატონი მანველიშვილი.

თუ ჩვენ კანტის ფილოსოფიისადმი თაყვანისცემა ხელს არ გვიშლის უურნალ „კავკაზში“ თანამშრომლობას, ეს ხდება არა მარტო იმიტომ, რომ უურნალ „კავკაზის“ თანამშრომელი თავისუფალია აირჩიოს ის დოკტრინა, რომელიც მას სურს, არამედ იმიტომაც, რომ უურნალ „კავკაზის“ ხელმძღვანელთ მიზნათ აქვთ დასახული კავკასიის მასშტაბით განახორციელონ ის, რაც კანტის შეხედულებით მთელი მსოფლიოს მასშტაბით უნდა განხორციელებულიყო: სამარადისო მშვიდობიანობა კავკასიელ ერთა შორის და მათი სოლიდარული თანამშრომლობა ფედერატიულ კავშირის ნიადაგზე. სანამდის ჩვენ ამ საკითხზე გადავალთ, საჭიროდ მიგვაჩნია განვმარტოთ ის დებულება, რომელიც



ბატონ მანველიშვილს მოჰყავს, როგორც კანტის დებულება, მაგრამ იმ სახით, როგორც ეს თვითონ კანტს ესმოდა. 1)

ფილოსოფოს კანტის შეხედულებით არსებობს ორგვარი დამოკიდებულება პოლიტიკასა და მორალს შორის: ან მორალი ემორჩილება პოლიტიკას, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს პოლიტიკურ მორალთან, ე. ი. ისეთ პოლიტიკასთან, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ინტერესზეა აგებული, რომელიც ამ ინტერესის განსახორციელებლად, ე.ი. მიზნის მისაღწევად მზათ არის ფეხქვეშ გათელოს ყოველივე ზნეობრივი და უფლების კანონები. ჩვენის აზრით მარქსისტული პოლიტიკა ეკუთვნის ასეთ კატეგორიას პოლიტიკისას, ვინაიდან ის არის კლასიურ, მაშასადამე პარტიულ პოლიტიკურ ინტერესებზე აგებული და ამ ინტერესების დაცვისათვის არავითარ საშვალებას არ ზოგავს. საფუძველად ამ პოლიტიკურ მორალს კანტის აზრით სამი პრინციპი უდევს:

fac et excusa, si fecisti nega, divide et impera

როდესაც პოლიტიკური მორალისტი აღწევს თავის მიზანს, მაშინ იგი სცდილობს გაამართლოს თავისი ნაბიჯი, რაც უნდა ანტიმორალური და ანტიუფლებრივი იყოს იგი, მაშასადამე იგი ხმარობს მორალს და უფლებრივ პრინციპებს იმისათვის, რომ გაამართლოს თავისი ამორალური საქციელი. მხოლოდ თუ ამ პოლიტიკურმა მორალისტმა მიზანს ვერ მიაღწია, თუკი მის მიერ გადადგმული ამორალური ნაბიჯი უშედეგოთ დარჩა, მაშინ იგი უარყოფს თვით გადადგმულ ნაბიჯს და სცდილობს იგი სხვას გადააბრალოს. რასაკვირველია ასეთ პოლიტიკას ჭკუა უნდა, მოხერხება. ამიტომ პოლიტიკური მორალისთვის თავი და თავია პოლიტიკაში არა პატიოსნება, არამედ მოხერხება. მისი დევიზია: იყვი ჭკვიანი ვითარცა გველიო. ასეთია სწორედ მენშევიკების პოლიტიკა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ პოლიტიკას სახელმწიფოებრივი ინტერესისა და ერის ინტერესების მასშტაბში არა აქვს აღგილი. იმ ჭკუას, რომელიც საჭიროა სახელმწიფო ინტერესების დაცვისათვის მენშევიკები აბსოლუტურად არიან მოკლებული. სახელმწიფო მათ შეგნებაში მხოლოდ პარტიისათვის არსებობს. თუ ისინი დღეს განგაშს სტეხავენ ტერიტორიალური საკითხების გარშემო და ბრმა იარაღად იყენებენ ნაციონალისტებს, ეს ხდება არა იმისთვის, რომ მათ ეს ტერიტორია ქართველი ერისათვის სჭირიათ, არამედ სჭირიათ თვით ეს განგაში, რომ თავის პარტიულ პოლიტიკურ მიზნებს მიაღწიონ. თუ დღეს ისინი უარყოფენ ქემალ ფაშისათვის ბათუმის გადაცემას, ეს იმიტომ, რომ მათი გეგმა დამარცხდა, ქემალ ფაშამ ბრმა იარაღათ გამოიყენა ის-

1). ჩვენთვის დაუვიწყარი დარჩება ძვირფასი ხსოვნა ამ დღეებში გარდაცვლილ გამოჩენილ გერმანელ უფლების ფილოსოფოსის რუდოლფ შტამლესის, რომელშიაც მეცნიერების გენიალობა შეერთებული იყო მეცნიერთათვის იშვიათი პედაგოგიურ უნართან და რომლის ლექციებმა ამის გამო ჩვენ შეძლება მოგვცა კანტის ფილოსოფიის ცოტად თუ ბევრათ მაინც გაგების.

ინი, ისე როგორც ბათუმისათვის ინგლისელების წინააღმდეგ ისინი ბრძოლისა და იარაღათ საბჭოთა რუსეთმა გამოიყენა. ამ ბრძოლას საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები კი არ მოითხოვდა, არამედ მათი პარტიულ პოლიტიკური ინტერესები. და რამდენადაც საქართველო მათი უგუნურების წყალობით უფსკრულს უახლოვდებოდა, იმდენად უფრო უმატებდნენ ისინი ტრაბახობას, ხოლო როცა საქართველო უფსკრულის პირას მივიდა, ე. ი. როცა ინგლისელებმა გადასწყვიტეს ბათუმიდან წასვლა, მაშინ ხომ ქართული ატმოსფერა სულ აყროლდა მენშევიკების ტრაბახით.

მათ რომ ბათუმის გაცემის მიზნისათვის მართლაც მიეღწიათ, და ქემალ ფაშა რომ მართლაც ჩარეულიყო საქართველო-საბჭოთა რუსეთთან ომში და გადაერჩინა საქართველო, მაშინ მენშევიკები არ იტირებდნენ ბათუმზედ, პირიქით, ისინი კვლავ გამოაცხადებდნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას საქართველოს მხსნელად და მისთვის ერთად ერთ მზრუნველად. თუ ეხლა ყოფილი მენშევიკი და დღეს ქართველ პოლიტიკურ მანილოვების ლიდერი, ჩემი ძვირფასი მეგობარი ვიქტორ ნოზაძე, გაიძახის, დაამტკიცეთ რომ მენშევიკებმა ბათუმი ქემალს დაუთმეს და ჩვენ მათ პასუხს მოვთხოვთო, სრულებით სხვანაირი იქნებოდა მისი პოზიცია, რომ მენშევიკებს მიზნისათვის მიეღწიათ და ბათუმის გაცემის საშუალებით თავიანთი მონოპოლია ქართველ ერზე შეენარჩუნებინათ. მაშინ იგი მენშევიკებისათვის ტაშის მკვრელთა რიცხვში იქნებოდა და არა მათ მოწინააღმდეგებში. განა ვიქტორ ნოზაძემ არ იცის, რომ თუკი რომელიმე ძალა მენშევიკებს საქართველოს ჩაბარებს და კომპენსაციად ბათუმს მოსთხოვს, მენშევიკები ამაზედ უარს არ იტყვიან? მხოლოდ თუკი ამავე ძალამ მოსთხოვა მენშევიკებს ქართველ ერის მეთაურობაზე უარის თქმა და სამაგიეროთ შესთავაზა საქართველოს მიერ დაკარგული ადგილები, მენშევიკები არჩევენ, რომ ქართველი ერის დღევანდელი ტანჯვა გაგრძელდეს, ვინემ ქართველ ერზე ხელისუფლება დაჰკარგონ. თუ ეს არ იციან ქართველმა ნაციონალისტებმა და მით უმეტეს ყოფილმა მენშევიკებმა, ისინი პირდაპირ შესაბრალისნი არიან. მე შემიძლია დავარწმუნო მენშევიკურ ბლოკში მყოფი ქართველი ნაციონალისტები, რომ თუ ბათუმს საშიშროება მოელის — და ბათუმის დაკარგვა კი ქართველი ერისათვის ნაციონალურ ტრალედიას წარმოადგენს — ის მოელის არა იმ პოლოტიკისაგან, რომელსაც უურნალი „კავკაზი“ იცავს, არამედ იმ უკაცრავად პასუხია პოლიტიკისაგან, რომელსაც მენშევიკები აწარმოებენ და რომელსაც სახელმწიფოებრივის მნიშვნელობით არც ეწოდება პოლიტიკა, და რომელიც დღეს მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომელიც კანტის აზრით პოლიტიკურ მორალისტის მესამე პრინციპს წარმოადგენს; ეს არის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გათიშვის შეტანა (დივიდე ეტ იმპერა).

თუ პოლიტიკური მორალი მოითხოვს არა პატიოსნებას, არამედ მოხერხებას, სრულებით სხვა მორალური პოლიტიკის ბუნება. თუ მორალი აღამიანს უკარნახებს იყოს არა ჭირიანი ვითარცა გველი, არამედ



სპეტაკი ვითარცა მტრედი, მორალური პოლიტიკა მოითხოვს შეზავეთ
ბას ამ ორ თვისებისას და ასეთი შეზავება კი ქმნის სახელმწიფოებრივ
სიბრძნეს. ამ შემთხვევაში პოლიტიკოსისათვის სავალდებულოა რომ
ის იყოს ჭკვიანი ვითარცა გველი და ამასთანავე სპეტაკი ვითარცა მტ-
რედი. თუ მორალი ფიქრობს, რომ პატიოსნება პოლიტიკაზე უფრო მა-
ღლა სდგას, მორალურ პოლიტიკოსს სახელმწიფოებრივი სიბრძნე ეუ-
ბნება, რომ საუკეთესო პოლიტიკა პატიოსნება არის. თუ პოლიტიკური
მორალისტი ფეხქვეშ სთელავს მიზნის მისაღწევად ყოველივე მორა-
ლურ და უფლებრივ პრინციპს, მორალური პოლიტიკოსი სახელმწი-
ფოებრივ ინტერესების დაცვაში ამ პრინციპებს ეყრდნობა. აქედან მკი-
თხველი ადვილად დაინახავს, თუ როგორი უნდა იყოს კანტის ფორმუ-
ლა, რომელიც ბ-ნ მანველიშვილს დამახინჯებულად მოჰყავს. მისი გა-
დმოცემით სადაც, თავდება მორალი პოლიტიკისა, ე. ი. პოლიტიკური
მორალი კანტის სიტყვით, იქ იწყება პოლიტიკა მორალისა, ე.ი. კანტის
სიტყვით — მორალური პოლიტიკა. მაშასადამე ბ. მანველიშვილს რომ
დავუჯეროთ, კანტს თურმე უთქვამს სადაც თავდება სიავე იქ იწყება
სიკეთეო. ნამდვილად კი კანტმა, ვითარც ჭკვიანმა კაცმა, სულ წინაა-
ღმდეგი სთქვა: სადაც თავდება სიკეთე იქ სიავე იწყებაო. აი სიტყვა სი-
ტყვით კანტის ფრაზა, რომელიც ჩვენ მოგვყავს 1795 წელს კენიგსბერ-
გში გამოცემული მის შრომის ორიგინალიდან, რომელსაც სათაურად
აქვს — „სამარადისო მშვიდობიანობისათვის“ — (ცუმ ევიგენ ფრიე-
დენ): „პოლიტიკური მორალისტი იწყებს იქ, სადაც მორალური პოლი-
ტიკოსი სამართლიანად ათავებს“^ო (გვ. 82). სამწუხაროა, რომ ასეთი
ყოვლად უჭირუ ნაჯღაბნი და საცოდავი ბავშვური ტიტინი, როგორიც
არის ბ. მანველიშვილის ბროშურა, შეაქო ქართულმა ნაციონალისტუ-
რმა პრესამ. სჩანს რომ ყოველგვარ მორალურ პრინციპს მოკლებულ
პოლიტიკურ მორალს ღრმად გაუდგამს ფესვები ქართულ ემიგრაცი-
აში.

3. ემუსვარი

(გაგრძელება იქნება)



მოკავშირეც ასეთი უნდა

ანუ როგორ ამხილა ბ. გიორგი გვაზავამ ბ. ნ. უორდანიას ზრახვები.

უურნალ „კავკასიის“ იანვრის ნომერში დაბეჭდილ წერილში —
„კავკაზის გარშემო“ უკეთებდით რა ანალიზს ბ. ნ. უორდანიას მიერ
ატეხილ სასტიკ ბრძოლას „კავკაზის“ წინააღმდეგ, ჩვენ ალვნიშნეთ ამ
ლაშქრობის ნამდვილი მიზეზებიც. თუ ქართულ ეროვნულ ემიგრაცი-
ის დაკვირვებულ წრეებში კიდევ მოიძებნებოდნენ ურწმუნო თომანი,
რომელთაც ჩვენი განმარტება მიუღებლად მიაჩნდათ, ჩვენ ვფიქრობთ,

რომ ის, რაც ითქვა და დაიწერა მას შემდეგ ემიგრანტულ ფარგლებში, ამ ურწმუნოებს გაუადვილებს თვალის ახილვას და ბ-ნ უორდანიას ზრახვათა ადვილად გაგებას.

ჩვენ ვწერდით, რომ ბ. უორდანიას ერთად ერთი მამოძრავებელი მიზეზი იყო შიში „კავკაზის“ ჯგუფის პოლიტიკური კონკურენციისა; რომ ბ. უორდანია ძალიან კარგად ხედავდა ევროპიულ პოლიტიკის ევოლუციას და მისი საკუთარი პოლიტიკის ყოველივე ნიადაგის დაკარგვას. ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ბ. უორდანიას, როგორც მარქსისტს და მეორე ინტერნაციონალის წევრს, გზა მოჭრილი ჰქონდა იმ ძალებთან მისასვლელად, რომლებიც დღეს ევროპაში წარმოიშვენ და რომელთაც საბოლოვოდ უნდა გადასჭრან რუსული და მაშასადამე საქართველო კავკასიის საკითხებიც. ხოლო რადგან ბ. უორდანიას ბატონობის სურვილზედ ჯერ კიდევ ხელი არ აულია, ის გამოსავალს ეძებდა შექმნილ მდგომარეობიდან და კავკასიის პოლიტიკური კონფედერაციის იდეით დაშინებული ფერისცვალებას აპირებდა, რომ ნაციონალიზმის ნილაბ აფარებულს ეროვნულ წრეებში ახალი მოკავშირეები ეძებნა.

ქვემოთ მოხსენებულით დაინტერესებული და ობიექტივური ქართველი მკითხველი თვით დაინახავს თუ რამდენად მართალი იყო ბ. უორდანიას მიერ „კავკაზის“ მიმართ წარმოებულ ბრძოლის ჩვენი შეფასება და იმედი გვაქვს შესაფერ დასკვნებს გამოიტანს.

უკვე რამდენიმე თვეა რაც ემიგრაციაში ხმა დადიოდა, რომ ბ. უორდანიას მეტად აფიქრებს, ახალი პოლიტიკური ვითარება და განსაკუთრებით თავის პოლონელი მეგობრების ზეგავლენით (ეს დალოცვილები თვითონ სოციალისტებს ციხეში სვამენ და ჩვენ, გვინდა არ გვინდა მაინც სოციალისტებს გვჩრიან პირში.) ახალ კომბინაციას ეძებსო. ბ-ნ უორდანიას აწერდნენ პარტიიდან გასვლის სურვილს, ავტომატიურად მაშასადამე, მეორე ინტერნაციონალიდანაც. მის „ეროვნულ ფრონტის“ რეორგანიზაციას, ამ ფრონტიდან ზოგიერთების გასტუმრებით და მათ მაგიერ, ფრონტს გარეშე დარჩენილ ზოგიერთ ქართულ ეროვნულ ჯგუფთა წარმომადგენლების შიგ შეუვანით. ამ რიგად, 45 წლის მარქსისტი ბ. უორდანია ერთის დაკვრით ქართველი ნაციონალისტი უნდა გამხდარიყო და განახლებულ „ეროვნული ფრონტის“ სათავეში, რომლის გარეშე მხოლოდ „წყეული და გამყიდველი“ თურქოფილები უნდა დარჩენილიყვნენ, ქართული ეროვნული ემიგრაციის ერთად ერთი და უდავო მებაირახტრედ მოგვლენოდა. რასაკვირველია მიზანი მუდმივ უცვლელად რჩებოდა. ეს გახლდათ ქართულ და კავკასიურ პოლიტიკის მეთაურობის შენარჩუნების სურვილი, „კავკაზის“ ჯგუფის დამარცხება და ახალი ფრონტით, ახალი ქურქით ანტიკომუნისტური ბლოკის წინაშე წარდგომა და მათგან კავკასიის პოლიტიკის მეთაურობის ინვესტიტურის მიღება. ბ. უორდანიას წარმოდგენით „კავკაზელე-



ბი” უკვე იქ არიან და ეს არის, რომ მას და მის კომპანიონებს მოსვენებას არ აძლევს და სიმშვიდეს აკარგვინებს.

ჩვენთვის ვინც ბ. უორდანიას და მისი პარტიის ბუნებას კარგათ ვიცნობთ, გასაკვირი ან დაუჯერებელი ზემონათქვამში არაფერია. ჩვენ არც ერთი წუთით არ დავეჭვებულვართ იმაში, რომ შესაძლებელია ბ. უორდანიას ეს აზრები ჰქონოდა, როგორც ერთი წუთითაც არ გვიწამებია ბ. უორდანიას გულწრფელობა და მისი ქართველ ნაციონალისტად მონათვლა. ჩვენთვის საკითხი იყო მხოლოდ ის, თუ როგორ მოახერხებდა ამ ახალ აბრუნვის ბ. უორდანია, შესძლებდა თუ არა იგი ჯერ საკუთარ წრეში ამ ახალი გეზის გატარებას და მერე, რაც მისთვის უმთავრესი იყო, შესძლებდა თუ არა ბ. უორდანია ოპოზიციურ ეროვნულ წრეებში საკმაოდ გულუბრიყვლო პირების გამოძებნას თავისი პოლიტიკური „ამოცანების“ გამოსაყენებლად. უველა ამ საკითხებზე ჩვენ პასუხებს ვღებულობთ ისევ ბ. უორდანიას ბანაკიდან. გასულ თვეს ემიგრაციას სენსაციად მოევლინა ორი გამოცემა. გაზეთი „საქართველო“ ბ. გიორგი გვაზავასი და ბ. უორდანიას ოფიციოზი, აწ უურნალად გადაკეთებული „ბრძოლის ხმა“


ბ-ნი გიორგი გვაზავა, ჩვენდა სამწუხაროდ, დიდი ხნის, დამსახურებული ფრონტისტი ბრძანდება და წარმოუდგენელია, რომ მისი გამოსვლა ბ. უორდანიას სურვილებს სცილდებოდეს. ბ. გ. გვაზავას გამოსვლას ჩვენ სხვანაირად ვერ შევაფასებთ და ვერც გავიზიარებთ ზოგიერთ ემიგრანტულ წრეებში ნაჩურჩულებ აზრს, ვითომც ბ. გვაზავას „ეროვნული თავდაცვის ორგანო“ „საქართველო“ ჯგუფური თავდაცვის ორგანო იყოს. ამბობენ, ვითომც ფრონტიდან გასასტუმრებელთა რიცხვში ბ. უორდანიას ბ. გვაზავაც მოეთავსებინოს და ამ უკანასკნელს თავის პოსტების შენარჩუნების მიზნით გამოეცეს „საქართველო“. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ბ. გვაზავა მოქმედებდა სწორეთ ბ. უორდანიასთან პირადი შეთანხმებით და, ასე ვსოდათ, ნიაღავს სინჯავდა ახალი კომბინაციის შესაქმნელად. ჩვენის ფიქრით, სწორედ ამ მიზნით გამოსცა ბ. გვაზავამ თავისი „საქართველო“ და ქართულ ემიგრაციას ახალი პრობლემაც წარუდგინა.

ჩვენ სრულებით არ გაგვიკვირდებოდა ძველი ქართველი ნაციონალისტის და პატრიოტის ბ. გ. გვაზავას ასეთი პროგრამით გამოსვლა, ის რომ ყოველ თავის ნაბიჯს ბ. უორდანიას არ უთანხმებდეს და დარწმუნებული რომ არ ვიყვეთ, რომ ამ შემთხვევაშიც მას ბ. უორდანია უდგას უკან.

დემოკრატი და ერთა ლიგის მეგობართა ქართული სექციის სულის ჩამდგმელი ბ. გიორგი გვაზავა, დღეს ლიგის 20 წლის ნამოლვაწარს ანალიზს უკეთებს, მისგან იმიჯნება და მომავლის იმედს სხვა რამეზედ ამყარებს. მაგრამ აქ თვით ბ-ნი გიორგი ვალაპარაკოთ: „შეიქმნა ღერ-

ძი ბერლინ-რომი, რომლის მიზანია დაცვა ევროპის ცივილიზაციისა და გამოსწორება უველა იმ შეცდომების, რაც ჩაიდინა ერთა ლიგამ.“ „ჩვენ შევქმნით ჩვენი ეროვნული ცენტრი შაშინ, როცა ერთა ლიგა იძლეოდა დიდ იმედებს და მისი სახელი და პრესტიჟი აძლევდა მიმართულებას მთელი ევროპის პოლიტიკას. ეხლა როცა გამოირკვა მისი სისუსტე და შეცდომები, როცა შეიქმნა „ლერძი ბერლინ-რომი“ რომლის ტრიალი ძირითადად სცვლის უნევის პოლიტიკას და მის მეთოდებს, ჩვენ არ შეგვიძლია თვალი დავხუჭოთ ამ დიდი გარდატეხის წინაშე. უნევის პოლიტიკამ ჩვენ ფაქტიურად თითქმის მოგვაქცია ბოლშევიკურ კოალიციაში, მიუხედავად ჩვენი რწმენის და ჩვენი მისწრაფებისა. ლერძი „ბერლინ-რომი“, გვინდა თუ არა ჩვენ მოგვაქცევს თავის მოქმედების ზონაში, ვინაიდან ზონა ჩვენი მოქმედებისა იგივეა, რაც იმისი: დამხობა ბოლშევიკური სისტემისა და სამართლიანი გაყვანა საზღვრებისა.“ „ჩვენ უნდა ანგარიში გაუწიოთ ამ მსოფლიო პოლიტიკის განხრებს და ავაწყოთ ჩვენი ძალონე ისე, რომ არ დავრჩეთ სრულიად გარიყული... ამისათვის საჭიროა გავათართოვოთ ბაზა ჩვენი ეროვნული ცენტრისა: უნდა შემოვიყვანოთ იქ წარმომადგენელნი სხვა და სხვა დაჯგუფებებისა განურჩევლად იმისა, სოციალისტია იგი, თუ ფაშისტი... „მაშინ მიეცემა ჩვენს ცენტრს ხასიათი და მნიშვნელობა ნამდვილი ეროვნული ფრონტისა.“

უველა ზემო ნათქვამს უდავო ჭეშმარიტების მნიშვნელობა ყოველი ჭართველი ნაციონალისტისათვის, ბ, გვაზავას ევოლუცია რომ სრული იყოს და სოციალისტები ვარაუდიდან გამორიცხულნი. მაგრამ აზრის ლოლიკურ ბოლომდინ მიყვანა ბ. უორდანიას მოკავშირე ბ. გვაზავას არ შეეძლო. რაც მან გვითხრა ისიც საკმარისად დიდი ევოლუციაა ბ. გ. გვაზავასათვის. მართლაც რა დიდი მანძილია დემოკრატიას, ერთა ლიგასა დ მეორე ინტერნაციონალზე აგებულ „ეროვნულ ფრონტის“ და იმის შორის, რასაც ბ-ნი გ. გვაზავა დღეს ბრძანებს?! მიუხედავად ასეთი დიდი განსხვავებისა ბ. გვაზავას გულწრფელობაში ჩვენ იჭვი მაინც არ შეგვდის, მაგრამ ეჭვი გვეპარება ბ. უორდანიას ტაქტიკის ვირტუოზობაში... ბ-ნმა უორდანიამ ბევრი აბრუნდი გააკეთებინა თავის პარტიას ამ 45 წლის განმავლობაში, მაგრამ ასეთი დიდი და გასაოცარი მოსახვევის შემოვლა, პრესტიჟ დაკარგულ და დაუძლებულებულ უორდანიასაგან ჩვენ არ გვინახავს. შესაძლებელია დროს განმავლობაში ბ. უორდანიას რაიმე მსგავსი განცხადება მაინც მოეხდინა, მაგრამ ასე ერთის დაკვრით მისი შემცირებული რაზმის გადაწყობა მისთვის ძნელი შეიქმნა. და სწორედ ამაში გაუწია ბ. გვაზავამ ბ. უორდანიას ცუდი სამსახური. ბ. გვაზავას ნააღრევმა გამოსვლამ ბ. უორდანიას გეგმები დაუნგრია. სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, რომ უორდანია-გვაზავას გეგმის გამხელამ დიდი აურზაური შეიტანა და



ააჯანყა ჯერ თვით „ეროვნულ ფრონტში“ და მრავალ ჯგუფებში, უმარტივებელი მდეგ თვით ბ-ნ უორდანიას ლაშქარში... ან ვინ უწყოდა თუ რა ბედა უმზადებდა ხვალინდელი დღე და ბ-ნ უორდანია ფრონტში შემავალ ჯგუფებს და მის საკუთარ პარტიას. არვინ იცოდა აგრეთვე თუ რა ბედი ეწვეოდა ხვალ იმ მეორე და მესამე ხარისხოვან პიროვნებებს, რომელთაც დღევანდელი კომბინაციით ბ. უორდანიასთან ფრონტში თუ პარტიაში პირველი ადგილები უკავიათ. ვინ ვის უნდა შეეცვალა —აი, თავსამტვრევად გამხდარი საკითხი ბ. უორდანიას მოკავშირეებისა. ამ ნიადაგზე აღძრულ ბრძოლას ბ. უორდანიამ ვერ გაუძლო, მან სტრატეგიული უკან დახევა მოახდინა და თავის პარტიასთან კომპრომისი გამოსძებნა. ამ უკან დახევის და კომპრომისის ნიშნებს ჩვენ ვხედავთ ახალ სამოსლით გამოსულ „ბრძოლის ხმა“ში. ბ. უორდანიას „ახალ“ პოზიციისას, მართალია ამ უურნალში ბევრ ვერაფერს ვხედავთ, მაგრამ ორ გარემოებას მაინც უნდა მიექცეს ყურადღება. ჯერ თვით გარეგნულ ფორმას უურნალისას. უურნალათ გადაქცეულ „ბრძოლის ხმას“ ალარ ამშვენებს მენშევიკ-ბოლშევიკთა საერთო დევიზი „პროლეტარებო ყველაქვეყნისა შეერთდით“ მ. უურნალში დაბეჭდილ პატარა ანგარიშიდან „პარტიაში“ ჩვენ ვტყობილობთ, რომ ბ. უორდანიას დაუპირებია პარტიის ბიუროს თავმჯდომარეობიდან წასვლა და ის შეუცვლიათ ანონიმურ პრეზიდიუმით... ეს ვერაფერი დიდი მიღწევაა, მაგრამ ბ. უორდანიასათვის მაინც პლიუსია. ხოლო საზოგადოთ ბ. უორდანიას პოზიციის უარყოფითი მნიშვნელბა მეტად სკარბობს უურნალის „დადებით“ შინაარსს. ალსანიშნავია რომ ბ-ნი უორდანია პარტიიდან არ გაუშვიათ. ერთ დროს პარტიის უდავო ხელმძღვანელი დღეს უბრალო წევრობამდის ჩამოქვეითებულა და პარტიის ხაზი მომავალში მის ანონიმურმა პრეზიდიუმმა უნდა უკარნახოს. ალბათ ეს ერთნაირ გარანტიად იქნა მიჩნეული დიდ კაცობის მოსურნე ბ. უორდანიას ანტურაუისათვის. მაგრამ ბ. უორდანიას ესეც არ აკმარეს და ვინმე „ვალ“ ი ვრცელ ხოტბის წერილს მიუძღვნის დღეს ბ. უორდანიას მიერ ათვალისწუნებულ მეორე ინტერნაციონალს. აქ ჩვეულებრივად ინტერნაციონალი გამოყვანილია როგორც საკაცობრიო იდეალის მატარებელი და მუდმივი დარაჯი დაჩაგრულ ერთა ინტერესებისა. მაგრამ როგორც სჩანს ავტორს მეხსიერება სუსტი აქვს და დავიწყებია, თუ რა პასუხი გასცა საქართველოს მდგომარეობაზე შეკითხვის შემტან დეპუტატს იმ დროს მეორე ინტერნაციონალის სულის ჩამდგმელმა რამზეი მაკლონალდმა და მისმა ამხანაგმა . ბ-ნ უორდანიას არც ეს აკმარეს და იმავე „ბრძოლის ხმის“ ფურცლებზე ლუიზა და კარლ კაუცკებს სალამიც კი მიუძღვნეს. ასე ტრალიკულად დამთავრდა ბ. გიორგი გვაზავას უდროვო გამოსვლით ჩაშლილი ბ. უორდანიას ახლად წამოწყებული კომბინაცია. ჩვენთვის სამწუხარო ბ. უორდანიას ასეთნაირად დაბოლოვებაში არაფერი არის და ეს იმიტომ, რომ შესაძლებელი იყო ზოგიერთი გულუბრყვილო ქართველი ნაციონალისტი მის მიერ გადმოსროლილ ანკესზე კვლავ წამოგებულიყო და ბ. უორდანიას ჭაობში ჩამხრ-

ჩვალიყო. ეხლაკი არამც თუ ამისი შიში ალარ არსებობს, არამედ ვფრქნებოთ, რომ ძველმა და დამსახურებულმა ქართველმა ნაციონალისტებმა, ბ. გ. გვაზავამაც უნდა ზურგი აქციოს მის მოკავშირე ბ. უორდანიას, რადგანაც უცნაური იქნებოდა ყოველივე მის მიერ ნაბრძანების შემდეგ, ის კიდევ ბ. უორდანიასთან დარჩეს...

ქართული და კავკასიური საქმეებით დაინტერესებული პატრიოტები საბოლოოდ უნდა გაემიჯნონ ბ. უორდანიას და მენშევიკობას და შეთანხმებული ძალებით ემსახურონ ჩვენი ქვეყნის საქმეს. ამ საჭიროებას თვით ბ. უორდანიას დღევანდელი მოკავშირე ბ. გვაზავა გრძნობს, ამას სწერენ და გრძნობენ ყველა ქართველი გულწრფელი ნაციონალისტები. ბ. უორდანიასთან კავშირები და კომბინაციები ამ აუცილებელ პატრიოტულ საქმეს მხოლოდ აბრკოლებენ და ხელს უშლიან.

მიხ. კედია



პ რ ე ს ა


უორდანიას გასაჭირი

ამ ბოლო დროს, ფრიად ზერელე და უსარგებლო პოლიტიკური ინტრიგის განხორციელების მიზნით, ბ. უორდანიამ მენშევიკური პარტიიდგან გამოსვლა განიზრახა. მისი აზრი. პირწმინდათ ეგოისტური იყო: პარტია იღუპება და მომავალი ალარ უწერია, მე მაინც უნდა გადვირჩინო თავიო — ფიქრობდა ის და პარტიაში გადადგომის განცხადება შეიტანა. ცალკე საკითხია, აგრეთვე, მართლა წულწრფელად და თავისი ნებით სურდა ბ. უორდანიას პარტიიდგან გამოსვლა, თუ უცხოთა კარნახით და ემიგრაციის თვალის ასახვევად. მაგრამ ამას ეხლა მნიშვნელობა აღრა აქვს. ეხლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბ. უორდანიას მანიოვრი ვერ გაუმართლდა, პარტია მასზედ ჯიუტი აღმოჩნდა და პარტიამ ლიდერი არ გაუშვა. აღსანიშნავია, რომ „ბიუროს თავმჯდომარეს და პარტიის უცვლელ ხელმძღვნელს“ პარტიის სულ უმნიშვნელო პირებმა აჯობეს.

საქმე სწორედ ასე იყო. მაგრამ თითქოს აქ არათერიაო, პარტიის ორგანო „ბრძოლის ხმა“ მთელ ამ უორდანიასებურ საქმეს იღილიურად გვიხატავს და დიდ სკანდალს პარტიაში ასე აგვიწერს

„...ბიუროს თავმჯდომარემ და პარტიის უცვლელმა ხელმძღვანელმა ნ. უორდანიამ თხოვა ბიუროს, რომ იგი გაენთავისუფლებია ბიუროს თავმჯდომარეობიდან და „ბრძოლის ხმა“ს სარედაქტო კოლეგიის წევრობიდან.

17მარტის სხდომაზე ნ. უორდანიამ ხელახლავ გაიმეორა თავისი თხოვნა და თან შემოიტანა წერილობითი განცხადება, რომელშიაც ის ასახელებს თავმჯდომარეობიდან გადადგომის ორ მიზეზს:



1) რომ იგი საკმაოდ მოხუცდა და მისი სურვილია, რომ მისივე ცოცხლები პარტიის სათავეში ჩადგენ უფრო ახალგაზღები და შეეჩვიონ პასუხისმგებლობას და ხელმძღვანელობის გაწევას,

2) რომ ის დატვირთულია იმ მუშაობით, რომელიც მას დააკისრა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ და რომლისგან თავის განთავისუფლება მას აქ არ შეუძლია, ამ სფეროში მუშაობა, განსაკუთრებით დღევანდელ საერთაშორისო გართულებულ პირობებში, მოითხოვს დიდ დროს, დიდ ენერგიას და წინდახედულობას, დიდ ფიქრსა და აწონ-დაწონვას, რომ ქართველი ერის საციცოცხლო ძაფები არ გადაიჭრას ამ არეულ დროში. ამ ხაზზე მთელი პატრიოტული და იდეური ემიგრაცია, მიუხედავად პარტიული სხვა და სხვაობისა ერთად უნდა იდგეს.

ბიურომ, მოისმინა რა ეს განცხადება და სიტყვიერი განმარტება — თუმცა გულისტკივილით — შეიწყნარა მისი გარდაუვალი სურვილი და გაანთავისუფლა იგი როგორც ბიუროს თავმჯდომარეობიდან, ისე „ბრძოლის ხმა“ს სარედაქციო კოლეგის წევრობისაგან“ო.

ასეთია „ბრძოლის ხმის“ ინფორმაცია, სკანდალის მისაჩქმალად და ემი გრაციის თვალის ასახვევად შედგენილი. მაგრამ სკანდალის დამალვა შეუძლებელია. ემიგრაცია მიხვდა, რომ ლიდერმა თვით გამოუტანა სიკვდილის განაჩენი თავის პარტიას. ბ. უორდანიამ აშკარად სთქვა, რომ მისი დარჩენა პარტიაში ეროვნული საქმისათვის საზარალოა. მაშასადამე საზარალო ყოფილა ეროვნული საქმისათვის თვით მენშევიკური პარტიაც. როგორც ამბობენ, ჯორდანიას პარტიიდგან წასვლის აუცილებლობას, არავინ იცის გულწრფელად თუ მზაკვრობით, განსაკუთრებით ბ. ჩხერიმელი იცავდა.

მაგრამ ბ. უორდანიას არ აღმოაჩნდა ნამდვილი გამბედაობა, რომ თავისი განზრახვა სისრულეში მოეყვანა. მისი არგუმენტი სასაცილოა. პარტიაში იმიტომ აღარ უნდა ყოფნა, რომ „საკმაოთ მოხუცებულა“, მაგრამ ეროვნული საქმის მეთაურობა, პირიქით, თითქოს იმიტომ უნდა, რომ „საკმაოდ მოხუცია“. ამ რიგად კაცი ვერ გაიგებს, კარგია თუ ავი პოლიტიკური მოღვაწისათვის ეს „საკმაოთ მოხუცება“ და რატომ არის, რომ მოხუცებულება უვარვისი პარტიულ მუშაობაში, ვარგისია ეროვნულ პოლიტიკაში?

როგორც მკითხველიც მიხვდება ბ. უორდანიას მდგომარეობა სახარბიელო ვერ არის. თავის პარტიას ზიანი მიაყენა და დღემდის ვერც ეს ყბად აღებული „ეროვნული გაერთიანება“ მოაწყო, რომლის შექმნას დღეს ყველა ჩემულობს.

ბ. უორდანიაზედ ყველაფერი ეს ახია! თავის ხანგრძლივ პოლიტიკურ მოღვაწეობაში, რომელიც არასოდეს ეროვნული არ ყოფილა, ის იყო კაცი, რომელიც ცხენზედ მუდამ უკულმა ჯდებოდა და ისე იძანდა აჩუს! იმის ნაცვლად, რომ ლიდერს ყველა იმ პირებზედ ეზრუნა, ვინც დღეს მენშევიკურ პარტიის აუტანელ ატმოსფერაში იხრჩნდა.

ბა, მან მხოლოდ თავის პირად გაქცევაზედ იფიქრა. მან უთხრა პარტიის ტიას: მე ქორწილში წავეთრევი და თქვენ ისევ ამ წისქვილში ბრძანდებოდეთ! პარტიაც ამაზედ აუჯანყდა. „ბიუროს თაქტჯლომარე და პარტიის უცვლელი მეთაური“ ბიუროდან და სარედაქციო კოლეგიიდან „გულისტკივილით“ გადააყენა და პარტიაში მაგრად ჩაკეტა. ამ გარემოებამ ჯერჯერობით შეაფერხა ის კომბინაციებიც, რომლებსაც ბ. უორდანია, პარალელურად საკუთარი პარტიის გარეშეც აწყობდა...

2. ცაგურიას ახალი „წიგნი“

გამოვიდა მენშევიკების პუბლიცისტის ცაგურიას ახალი „წიგნი“ შემდეგის ტიტლოვანის ფურცელით: „ირაკლი ცაგურია. აჯანყებულ საქართველოს სირდარი. ჩვენ და ისინი. გამოცემა „ივერიასი“. 1938 ვარშავა.“

ძველი და გამოცდილი პროვოკატორების ხელი ოსტატურად ატარებს გიურ და გაფუჭებული აღამიანის კალამს და ცაგურია სწერს... სწერს ბატარეის ცხენი, რომელსაც თავისი თავი ოფიცერი ჰეონია, როგორც უკვე ითქვა ერთხელ მის შესახებ.

აღსანიშნავია რომ წიგნი ვარშავაშია გამოცემული. „პრომეთეს პრობლემის“ ხალხმა და მისმა ჩამდახებლებმა თავისი შეუდარებელი პუბლიცისტის „წიგნების“ ბეჭდვა ეხლა ვარშავაში გადაიტანეს, რადგან გათახსირებულ ცაურიას ბრიუსელხში წიგნის დაბეჭდვისა ეშინიან. მენშევიკების „სირდარმა“ კარგად იცის, რომ ასეთი წიგნის იქ გამოცემისათვის, ბრიუსელის სასამართლოს დადგენილება : ძალაში შევა და „სირდარს“ ციხეში ჩასვამენ.

აღსანიშნავია „წიგნის“ სათაურიც — „ჩვენ და ისინი.“ „ჩვენ“ — ცაგურია, ნოე უორდანია, გრიშა ურატაძე, „დიდი ვალიკო“, „სახალხო გვარდია“ და დანარჩენი მენშევიკობაა. ნოე უორდანია „დიდებული გურული“ და „მეოცე საუკუნის ჩვენი ივერიის თეთრი გიორგი“, ყოფილა, „დიდი ვალიკო“ ხომ ჯულელია... ცაგურიასთვის ურატაძეც „ჩვენი მეგობარი პუბლიცისტი გ. ურუტაძე“ ყოფილა, თუმცა უფრო შესაფერი იქნებოდა რომ ურატაძისათვის „მასწავლებელი“ ეწოდებინა. შემდეგ მოდის „ჩვენი ეროვნული მთავრობა“, „ჩვენი ეროვნული ცენტრი“ და სხვა. ცაგურიას „ჩვენ“ ესენი არიან. ერთის სიტყვით, ცაგურია „უორდანიას ფრონტის“, მწერალია. ერთს რომ აქეთ გაილანდება, ათ მარგალიტს ამ „დიდებულ გურულებს“, „დიდ ვალიკოებს“ და „ჩვენ მეგობარ პუბლიცისტ გ. ურატაძეებს“ უყრის.

„ისინი“ — დანარჩენი რიგიანი ქართველობაა, ცაგურიას და უორდანიას „მტრები“ (თავის პიროვნებას ცაგურია უორდანიას არ აშორებს) და ამიტომ გალანდოულნი.

ცაგურიას წინა „წიგნს“, როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, „ბრძოლის ხმა“ და „დამოუკიდებელი საქართველო“ გამოქომაგნენ. უორდანიას გაზეთმა (მაშინ უორდანია სარედაქციო კო-

ლეგიის“ წევრი იყო!) ციტატაც მოიყვანა ცაგურიას წიგნიდგან და გადმოგვძახა: თუ ბიჭები ხართ პასუხი გაეცით ცაგურიასო! ხოლო ჩენ კელმა ჭამხედრო პირებს პროტესტის წერილიც არ დაუბეჭდა თავის გაზეთში. სრულიად ულირსი იყო აგრეთვე დანარჩენი ქართული გამოცემების საქციელი: ცაგურია გიჟია, მაგის წიგნს რა პასუხი და დაგმობა სჭირიაო. ცაგურია ამან წაათამამა და იმავე ძველი პროვოკატორების კარნახით, ახალი „თხუზულება“ დასწერა. ძველად გალანძლულ რიგიან ხალხს ახალი რიგიანი ხალხის გალანძლვაც ზედ დაუმატა და ეს ახალი შეურაცყოფა პროფესორ ივანე ჯავახიშვილის ლანძლვით დაიწყო. მიზეზი, რა თქმა უნდა, იგივე უორდანია არის. ივ. ჯავახიშვილს ცაგურია უორდანიას სასიამოვნოთ ლანძლავს.

სულელ და გაფუჭებულ ცაგურიას არ ესმის, რომ ივ. ჯავახიშვილის ლანძლვა უორდანიას გულისათვის, თუნდა უორდანია სულ „დიდი გურული“ „და მეოცე საუკუნის თეთრი გიორგი“ იყოს, არ შეიძლება. არ შეიძლება იმიტომ, რომ უორდანია მხოლოდ უნიჭო მინისტრი იყო საქართველოსი, რომელმაც საქართველოს 2 წელიწადსაც ვერ მოუარა, ივანე ჯავახიშვილი კი ჩვენი სულიერების, ჩვენი კულტურის, ჩვენი ეროვნული მეობის, განათლების, მეცნიერების, კულტუროსნობის, არა „მენშევიკური“, არამედ მარადი საქართველოს უმწიკვლო და უებრო წარმომადგენელია. უნიჭო და უვიცი მინისტრი საქართველოს ოცნებით ჰყავდა, ჯავახიშვილი კი ერთია! ჯავახიშვილი სხვაა, უორდანია სვახა, შუა უზის დიდი ზღარი, რომელსაც უორდანია მაინც ვერ გადაახტება თუნდა ცაგურია მთელი თავისი არტილერიით ზედ გამოებას. ცაგურიამ სულელმა, ავ-ზნემ და გაფუჭებულმა ეს არ იცის, ეს არ ესმის და იმიტომ ლანძლავს ივ. ჯავახიშვილს. „სტახანოვეცს“ და „პროხვოსტს“ ეძახის და „სამართლის სახრით“ ემუქრება.

მაგრამ ეს არა სმენიათ მის მოკარნახეებსაც!

უორდანიას ეპოქამ ილია ჭავჭავაძე მოჰკლა. დღეს იგივე უორდანიას მიმდევარი და მაყარი ცაგურია აშკარად და დაწერილად, აქ, ემიგრაციაში ზურაბ აუალიშვილს ეძახის „პროხვოსტს“, იქ, საქართველოში, ივანე ჯავახიშვილს. კვლავ გალანძლულია ქაქუცა ჩოლოყაშვილი მთელი ქართველი გენერლობა და მრავალი პირი...

უორდანიას „საქართველო“ ეს არის!

უორდანია-ცაგურია ამ „საქართველოს“ სახეა.

ტაში მაგათ, ქართველებო, ტაში!



ემიგრანტული შაირები.

მე ერთ სიტყვას მოგახსენებთ
პლატონისგან სწავლა თქმულსა,
სიცრუვე და ორპირობა
ავნებს სულსა, მერე გულსა.

შ. რუსთაველი

ძველ ჯურლმულით მოისმის
თოფუნაკრავთა ღმუილი
ჩიკოლიკა ემისრებს
ვერ გაუდით ტყუილი.
ვისაც სული გიდგიათ
გრძნობა გიდულსთ კაცური
ყველა ერთხმად ავმხედრდეთ,
დავგმოთ ნოეს ფაფხური.
ნუ ავყვებით მის ამქარს
ვინც დაღუპა სამშობლო.
ქართველობის წამებას
არ ეღება ჯერ ბოლო!
ჩართულ ბრძოლებს დავესწროთ...
აგვისრულდეს წადილი.
ვინც მტრის ბანაკს დაუფრთხეს
თავს ეხუროს მანდილი.
ურატაძე ჩასპანდი,
თურმე აწყობს მიტინგებს.
მამაიკას გრიგოლი
წალმას, უკულმა იგებს.
გრიშაია ბოლოს დროს,
პატრიოტად გადიჭუა.
ნუთუ, მარქსის მოძღვრებას,
სამუდამოდ გაეჭუა?!
კოჭაობსო, ამბობენ,
ხან ალჩუს ჰყრის, ხან თაფსა,
არ მიენდოთ, უფრთხილდით,
გადაგასხამთ თავს ლაფსა.
მსუნავივით შეჰყურებს
თავის ბებერ მამასა.
დღე და ღამე იკვეთავს
ტყუილების თემასა.
საბა სულხანს მიჰბაძავს,
გაწვრთნილია ძალიან,

რჩევა დარიგებისთვის
 მის კარებზე დავლიან.
 საგარეო საქმეში,
 მოგახსენოთ — ბრძენია,
 სდულს და მაღლით გადმოდის
 ვით რქაწითლის წვენია.

მოსკოვში როცა იყო,
 აკვირვებდა რუსებსა.
 დაბნეულად არჩევდა,
 საქართველოს რუქებისა!

ათ-ხუთმეტი წელია,
 რაც გრიშიკო ეულობს;
 ამ ხნის განმავლობაში
 მარტო მზაკვრობას ცდილობს.

ვლასიკოსაც ნუ იტყვით,
 არის გრიშკას ქებაში,
 ტრიბუნას რო გახედავს
 მოდის აღტაცებაში.

გვარჯალაძეც შევაქოთ
 ეფრემ-ვერდის „ავტორი“,
 შორს მჭვრეტობით ფალავნობს,
 პოლიტიკის „მოტორი“.

მაგისთანა მწერლებსა,
 უნდა ედგათ ახური.
 დღევანდელ დღეს ვერ არჩევს,
 სჯობია ვკრათ პანლური.

რასაც კი გაუკეთა
 ბრძნული ობსერვაცია,
 არც ერთი არ ასრულდა,
 ქრება ლიგა-ნაცია!

უსაფუძვლო დოგმები,
 ხედავთ, მოდის უკულმა.
 მტვერივით ქანაობენ
 ხან აღმა და ხან დაღმა.

თუ ჩემი არა გჯერათ,
 დაინახავთ ბოლოსა,
 როცა ქარაფშუტებსა
 გაეცნობით ახლოსა.

მენშევიკთა სიცოცხლე
 აღარ არი ადვილი.
 იქნებ ყურით გაიგოთ,
 მათი მწარე ჩივილი.

საქართველოს დაპგმობენ

თუ არ ექნათ უფლება,
ნოეს მხარის დამჭერნი
ბევრი არ მეგულება.

არა ჯდება მწყერი ხეს,
ესეა მის ბუნება
მენშევიზმის რევანში,
ჩვენში არ შეიძლება!

6. წაწალაშვილი

ვალენტინე. 1938 წ.



რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეზების ტაოსანი“ *)

რუსთაველის ეპოქის საქართველოს სოციალური კულტურა და-
ხასიათებულ უნდა იქნას უწინარეს ყოვლისა იმ სახელმწიფოებრიო-
ბის ჩარჩოებში, რომელიც მაშინ იყო. ამ სახელმწიფოებრიობის მთა-
ვარი მიჯნები მოკლედ ასე შეიძლება მოიხაზოს: საქართველოს ერ-
თიანი სახელმწიფოებრიობის შემქმნელი იყო ბაგრატ მასამე, რომე-
ლმაც არა მარტო გააერთიანა საქართველო, არამედ საძირკველი ჩა-
უყარა სოციალურ კულტურსაც, რამაც შემდეგ, 11—12 საუკუნეების
განმავლობაში; შეუპოვარი ბრძოლების შეოხებით, უხვი ნაყოფი გა-
მოიღო და მოგვცა საინტერესო შედეგები, რომლებმაც, როგორც და-
ვინახავთ, გამოხატულება პპოვეს შოთა რუსთაველის განიალურ პოე-
მაში.

უკვე წინა ეპოქაში, 10—11 საუკუნეებში, საქართველოს სოცი-
ალური კულტურა გამსჭვალული იყო ფეოდალური და წოდებრივი
პრინციპებითა და პრივილეგიებით. წოდებრიობა გაბატონებული იყო
მაშინდელი ცხოვრების ყოველ დარგში. არ იყო არც ერთი დაწესე-
ულება, რომელიც დამყარებული არ ყოფილიყო ამ პრინციპზე, არ
იყო ცხოვრების არც ერთი მოვლენა, რომელიც არ ხასიათდებოდა
ამით. წოდებრიობა შეიჭრა ეკლესიაშიც. ეკლესიის მსახურები შეი-
ძლება ყოფილიყვნენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც უმაღლეს წო-
დებას ეკუთვნოდნენ. ამ ეპოქაში თვით სამონასტრო ორგანიზაციე-
ბსაც საფუძვლად მონარქიული პრინციპი ედო. მაგრამ ეს პრინციპი
მე-11 საუკუნის დასაწყისში, ამ ორგანიზაციის შიგნით მედგარი ბრძ-
ოლის შედეგად, შესცვალა ირესპუბლიკურმა წყობილებამ არჩევითი
პრინციპითა და მონასტრის ყველა წევრთა თანასწორუფლებიანი წა-
რმომადგენლობით.

*) მწერალთა კავშირის პლენუმზე გაკეთებული მოხსენებიდან.



თუმცა უკვე ბაგრატ მესამე, როგორც უკვე ალვნიშნე, ებრძოდა დიდგვარიანთა წარმომადგენლებს, მაგრამ ვერაფერი დაუპირდაპირდა იმ ძალას, რომელიც ფეოდალთა ხელში ჯარის სახით იყო. დავით ალმაშენებლის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან დააწესა მუდმივი ჯარი და ამის მეოხებით ფეოდალური ლაშქრისათვის მას შეეძლო დაეპირდაპირებინა კარგად ორგანიზებული, კარგად გაწვრთნილი სახელმწიფო ჯარი, რომელსაც შეეძლო დაეცვა საქართველო არა მარტო უცხოელთა ურდოებისაგან, რომლებიც საქართველოს თავს ესხმოდნენ, არამედ აელავმა დიდგვარიანთა თავნებობაც, რომელნიც წინააღმდეგობას უწევდნენ სახელმწიფო ძალაუფლების ღონისძიებებს.


დავით ალმაშენებლის შემდეგ ამ ბრძოლაში ხან ერთი მხარე იმარჯვებდა, ხან მეორე. გიორგი მესამის დამსახურება ის არის, რომ მან ისარგებლა რა სამხედრო მინისტრის მონაწილეობით რეაქციულ ორგანიზაციათა აჯანყებაში, რომელიც მთავრობის წინააღმდეგ იყო მიმართული, აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მან გადააყენა შეთქმულებაში ჩარეცხული ყველა მინისტრი დიდგვარიანებიდან და შესცვალა ისინი დაბალი სოციალური ფენებიდან გამოსული პირებით, რომლებიც თავიანთი პირადი ღირსებებით დაწინაურდნენ.

გიორგი მესამის ბრძოლა არ შეწყვეტილა. მის დროს საქართველოს წინაშე დადგა პრობლემა, შეეძლო თუ არა ქალს, რომელსაც მანამდე არავითარი პოლიტიკური უფლებები არა ჰქონია, დაეკავებინა უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობა, ასულიყო სამეფო ტახტზე. ამ საკითხის გადაწყვეტა შეიძლებოდა მხოლოდ უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს თანხმობით, აგრათვე სამღვდელოების სანქციით, რომლის ხელშიც იყო იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი პრეროგატივა — გვირგვინის საეკლესიო წესით კურთხევა. გიორგი მესამემ ამის გატარება შეძლო მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის დათმობებით.

გიორგი მესამის შვილის თამარის მეფობის დროს სახელმწიფო წყობილება საქართველოში ინტენსიური პოლოტიკური ბრძოლის შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდა და შეიქმნა შეზღუდული, კონსტიტუციური მონარქია.

ამ ეპოქაში საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია შეიცავდა მთელ კავკასიას შავი ზღვიდან კასპიის ზღვაზე და გადადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც, როგორც ვასალური სამფლობელო, საქართველოს ფარგლებში შედიოდა. გარდა ამისა, მთელი ჩრდილეთი სპარსეთი ყაზვინამდე და რამტურამდე იმყოფებოდა ვასალურ დამკიდებულებაში, და დასავლეთითაც — არზრუმში საქართველოს სახელმწიფო დროშა ფრიალებდა.

ქართველი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ თამარ მეფე პატივს სცემდა საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში შემავალი სახელმწიფოებისა და ერების უფლებებს და უარყოფითად ეკიდებოდა ინკოლიციას, ამყარებდა მხოლოდ ვასალურ დამოკიდებულებას. ისტორი-



კოსის ცნობით, იგი ამ პოლიტიკას ეწეოდა სავსებით შეგნებულად, კრონბდა რა, რომ საქართველოს სახელმწიფოს კონსოლიდაციის ამოცანა სავსებით განხორციელებული იყო.

თამარ მეფის ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს მთავრობა ხედავდა, რომ წონასწორობის პოლიტიკა დაარღვია რომელიმე მეზობელმა, საქართველოს მთავრობა გზავნიდა ჯარს დარღვეული წონასწორობის აღსაღვენად და იმ სახელმწიფოს დასახმარებლად, რომელმაც თავდასხმა განიცადა.

ამრიგად, ამოცანას, რომელიც თამარ მეფემ დაისახა და რომელსაც, როგორც დოგმას, სცნობდა საქართველოს სახელმწიფო, წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობაში პოლიტიკური სამართლიანობის აღდგენა.

თამარ მეფის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ მხედართმთავრები გამოცხადდენ გიორგი მესამესთან და განუცხადეს, მშვიდობიანობა გაგვიგრძელდა, მეტი ცდა აღარ შეგვიძლიან, საჭიროა ომი, საჭიროა ლაშქრობა და ახალი ტერიტორიების შემოერთება. თუმცა გიორგი მესამე თანახმა არ იყო, მაგრამ იძულებული გახდა გამოეცხადებინა ომი მეზობლებისათვის, რომლებიც იმუამად არავის, განსაკუთრებით საქართველოს არ ემუქრებოდნენ, და ომი თითქმის ყველა ფრონტზე დაიწყო.

შოთა რუსთაველის გენიალური პოემა საინტერესოა ამ თვალსაზრისითაც. დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გამორკვევას, ეხება თუ არა ის ამ პრობლემას და როგორ აშუქებს ამ საკითხს. პოემაში მოცემულია სამხედრო ძალის ორი ტიპი. ერთი მხრით, უხეში ფიზიკური, სამხედრო ძალა, პირადი ვაჟკაცობა, პირადი სიმამაცე წარმოადგენს ერთადერთ ნორმას, რომელიც განავებს სახელმწიფოს. ასეთი მიმღინარეობის წარმომადგენელია „ვეფხის ტყაოსანი“ს გმირი ტარიელი. იგი თვით მამაცია, იგი იბრძვის, მაგრამ მის ბრძოლას არა აქვს იდეური ხასიათი.

მეორე მიმღინარეობის წარმომადგენელია ავთანდილი, რომელიც თუ იშიშვლებს ხმალს, იშიშვლებს მხოლოდ იმისათვის, რომ დაეხმაროს შეურაცყოფილთ, იმისათვის, რომ გაანთავისუფლოს ჩაგრულნი. ეს გარემოება შემთხვევითი როდია. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ შოთა რუსთაველმა ორი სავსებით საწინააღმდეგო ტიპი წარმოგვიდგინა. აქ ჩვენ გვაქვს ორი სისტემის, ორი მიმღინარეობის, ორი პოლიტიკური დოქტრინის ასახვა, რომლებიც საქართველოში იყო, და რომელთა შორისაც იმ ეპოქის საქართველოში სწარმოებდა ბრძოლა.

ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ შოთა რუსთაველი აღტაცებულია ტარიელით, რომ ტარიელი მისი საყვარელი გმირია. ეს შემცდარი აზრია. საკმარისია გავიხსენოთ ის დახასიათება, რომელსაც იგი ტარიელს აძლევს, რათა გავიგოთ, რომ იგი აღტაცებულია მხოლოდ მისი სიმამცით, ტარიელის მხოლოდ პირადი ვაჟკაცობით. გაიხსენეთ ის ფრაზა, რომელიც მან იხმარა ტარიელის შესახებ: „მისმან თავისა წონამან“. მე ვფიქრობ, რომ ეს არ არის სახარბიელო შედარება და ეს ვერ გვიმოწვენ.



მებს, რომ შოთა რუსთაველის მთავარი გმირია ტარიელი და არა ავტორი ნდილი. შემდეგ იქ მოცემულია მეორე საინტერესო სურათი: ხატაეთის სამეფოს წინააღმდეგ იგზავნება დამსჯელი ექსპედიცია, ხატათი დამარცხდა ბრძოლაში, სახელმწიფო მოისპო, თვით მეფე ტყვედ ჩავარდა. შოთა გადმოგვცემს, რომ გამარჯვებულმა დამარცხებული მეფე დიდ-სულოვნად მიიღო, მიუტევა ყველა შეცოდება, რაც მან ჩაიდინა და დაუბრუნა სახელმწიფო ძალაუფლება, მხოლოდ ვასალური პირობებით. საინტერესო დეტალი: შოთა დასძენს, რომ ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი სიბრძნე ასეც უნდა მოიქცეს.

მე მგონია, ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ჩვენ უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ პოემაში აისახა ის პოლიტიკური ტენდენციები, რომლებიც იმ დროს საქართველოში არსებობდა.

შემდეგ მომხსენებელი გადადის შოთა რუსთაველის პოემის ანალიზზე.

შოთა რუსთაველის ნაწარმოებში ასახულია ქართველი საზოგადოების პროგრესიული ფენების იდეები, საზოგადოებისა, რომლის უბალო მებაირახტრეც ის იყო: ხალხთა ძმობა — განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა. ეს ძმობის იდეა გენიალური პოეტის ნაწარმოებში აბსტრაქტული წინადადება როდია, ეს არის მწვავე საკითხი, რომელსაც საქართველოს ისტორიისათვის, საქართველოს სახელმწიფოსათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა იმის გადაწყვეტა, თუ რა შეადგენს ამ პოემის ძირითად იდეას რაინდული სიყვარული თუ ძმადნაფიცობის იდეა — ხალხთა ძმობის იდეა, როგორც იქ არის დახატული.

მე მგონია, სავსებით უეჭველია, რომ სწორედ მეორე ნაწილი — იდეა ძმობისა, ამა თუ იმ სარწმუნოებისადმი კუთვნილების დამოუკიდებლად, წარმოადგენს ძირითად იდეას, რომლის გულისათვის დაიწერა შოთა რუსთაველის ეს გენიალური პოემა.

რა თქმა უნდა, გენიალური პოეტის ქმნილება პოლიტიკური ტრაქტატი როდია, და როდესაც შოთა რუსთაველი სწერდა, მას არ ჰქონია განზრახვა მოეცა ჩვენთვის ყოველივე იმის ამომწერავი ახსნა, რაც იმ დროს ქართველი საზოგადოების მოწინავე ფენებს აღელვებდა, მაგრამ, ჰქონიდა რა დიად მხატვრულ პოემას, იგი, თავისი სამშობლოს მწვავე საკითხებით აღელვებული, თავისი უკვდავ ნაწარმოებში გადმოგვცემდა ყველა თავის აზრს, ყველა თავის მისწრაფებას, ყველა იმ იდეალს, რომელთა სრული გამარჯვებაც მას სურდა ეხილა მაშინდელ საქართველოში.

მე არ შევეხები იმ საკითხს თუ რამდენად ახლოა ჭეშმარიტებასთან საქართველოს ისტორიული ცხოვრების ის სურათი, რომელიც მოცემულია შოთა რუსთაველის პოემაში. შესაძლებლობა რომ მქონდეს განვიხილო ეს საკითხი მატერიალური კულტურის თვალსაზრისით, ძნელი არ იქნებოდა დამემტკიცებინა, რომ ამ პოემაში გადმოცემულია ცხოვრების ზოგიერთი ისეთი პირობები, ისეთი ჩვეულებანი, რომლე-

ბიც მაშინდელ საქართველოში არსებობდა. თუმცა იქ დასახელებული არიან არაბები, სპარსები, ინდონი, ხატაელნი, მაგრამ ისინი აზროვნობენ, ცხოვრობენ, იბრძვიან სრულებითაც არა ისე, როგორც ეს იქნებოდა იმ ქვეყნებში, რომლებიც იქ დასახელებულია. შოთა რუსთაველის გმირებში ქართველის გული სძგერს, მის გმირებს მაშინდელი საქართველოს საკითხები აღელვებს.

გაზ. „კომუნისტი“.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი



ჩვენს ახალგაზრდობას

სახელმწიფოები, რომლებიც დიდი ომიდან გამარჯვებული გამოვიდნენ, ფიქრობდნენ, რომ 11 ნოემბრის 1918 წ. ზავით ბოლო მოელოთ ყოველგვარ პოლიტიკურ და სტრატეგიულ შეჯიბრებებისათვის. მაგრამ როგორც დროთავითარებამ დაგვანახვა, მთლად ასე არ მოხდა.

ბევრ სხვა და სხვა მომხდარ ისტორიულ ფაქტებთან, დღითი დღე განმტკიცებას ეძლევა ხანი, რაც გერმანია-ავსტრიის გაერთიანებამ ფერი უცვალა და სრულებით შესცვალა ევროპის რუქა. ამ უცაბედმა მოვლენამ საგრძნობლად შეარყია და შეაფიქრიანა მსოფლიო, განსაკუთრებით კი ის ქვეყნები, რომლებიც მუდამ წინააღმდეგი იყვნენ ამ ორი სახელმწიფოს, ანუ სწორედ რომ ვსოდეთ: ერთი სისხლის, ერთი ხორცის, ერთი ენის და ერთი ერის ხალხის დაახლოვების.

საგულისხმო და საყურადღებო ის არის, რომ გერმანია-ავსტრიის შესისხლხორცებას სხვა მათი მეზობელი ერებიც სწორად ურიგდებიან, რაც გასახარი და ფრიად საინტერესოა, ვინაიდან ის სახელმწიფოები, რომლებსაც კატეგორიულად გადაწყვეტილი აქვთ მარქსიზმისა და კომუნიზმის ძირაინ-ფესვიანად აღმოფხვრა, წუთ-წუთობით უახლოვდებიან შავი ზღვის ნაპირებს. სწორედ ამ ზღვის ნაპირებზე გამოსვლით უნდა გატიალდეს და სამუდამოდ დაიმსხვრას კაცობრიობის, კულტურის და კულტურიზაციის მომწამლავი მარქსისტული და კომუნისტური რეჟიმი, რომელიც ამდენ ერს მძიმე ხუნდებად აწვება.

ამავე დროს თან მუსრი უნდა გაევლოს იმ ულმობელ ვერაგ მტერს, რომელიც დროთა უამის განმავლობაში განუწყვეტლივ სვამს ქართველი ხალხის სისხლს და ჯერ კიდევ არ გამაძლარა.

ქართველობას კი ამ ლრმად მომწიფებულ მომენტში გვევალება დიდი წინდახედულობა, გამჭრიახობა და მასთამ ფხიზელი, გამოზომილი და მშეიღობიანი ნაბიჯით სიარული. იქნებ ლვთით მივაღწიოთ უზენაეს სურვილის აღსრულებას: სამშობლოს მტრის ჭუჭყიან კლან-კებიდან განთავისუფლებას.

მხოლოდ სამგლოვიარო და სატირელი ის არის, რომ ჩვენი პატივცემული პოლიტიკური მოღვაწეები თავის დონეზედ არ დგანან და

თავიანთ დანიშნულებასაც პირნათლად არ ასრულებენ. აგერ 14 წელი სრულდება რაც ემიგრაციაში ვიმყოფები და ამ ვებერთელა განვითარება. განმავლობაში არც ერთი მათგანის კეთილი ნამოქმედარი არ მინახავს. არამედ ყველა ერთად და ცალკ-ცალკე იმას სცდილობენ, რაც შეიძლება მეტად არივ დარიონ ისედაც გზა-კვალ დაბნეული და გამწვავებული ჩვენი ემიგრანტული ცხოვრება. რა ხრიკებით და ბინძური კომბინაციებით არ სარგებლობს ეს ხალხი? მაგალითად, ვაჭრობა საქართველოს სახელით, ჯაშუშობა, ყალბი თავადობის ლრამოტების გაცემა და ბევრი სხვა სიწამხდრე და სისაძაგლე! რომელ და ვის კარებს არ უკაკუნებენ ეს დიდი ხანია ყავლ გასული პოლიტიკოსები, მაგრამ სულ ამაოდ, ვინაიდან ყველამ კარგად უწყის ამ ვაჟბატონების ვინაობა და სულისკვეთება.


უკვე რამდენიმე წელია, რაც ბ. ჰ. ბამატის თაოსნობით ემიგრაციაში დაარსდა კავკასიის კონფედერაციის ჯგუფი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ ზედმიწევნით პატიოსან, მნიშვნელოვან და დამსახურებულ ქართველებთან ერთად სხვა კავკასიის ერების წარმომადგენლებიც. როგორც საქმილანა სჩანს ხსენებული ჯგუფი სწორ გზას ადგას და პოლიტიკასაც კეთილ სინდისიერს აწარმოებს. ამის და მიხედვით ფრიად მოსალოდნელია, რომ ამ მუშაობას შედეგიც ნაყოფიერი მოჰყვეს.

ეჭვს გარეშეა, რომ ეგრეთი წარჩინებული წრის თავის მოყრა ქართულ „სახალხო ფრონტისათვის“ დიდ საფრთხეს წარმოადგენს, კიდევაც ეს გახლავთ შიზეზი, რომ ხსენებული ჯგუფის ირგვლივ ასტყდა უსინდისო განგაში, კრებების მოწყობა და რეზოლუციების გამოტანა.

სამწუხარო და საგოდებელი ის არის, რომ ამათ საზიზლარ საქციელს და ფეხის ხმას, რამოდენიმე ახალგაზრდაც გამოეხმაურა. სწორედ ამ შეცდომაში შეყვანილ ახალგაზრდობას მინდა მოვახსენო, რომ ყოველ კეთილად მოაზროვნე ქართველისათვის დამლუპველი და გამანადგურებელია ისეთი ხალხის გვერდში ამოდგომა და ხელი-ხელ ჩაკიდებული სიარული, რომელსაც საქართველოს პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, თავის სიცოცხლეში აზრადაც არ მოსვლია და დიდი ომის ამბებით განთავისუფლებულ ჩვენს ქვეყანაში, უსასტიკესი კლასთა ბრძოლის შექმნის მეტი არა უკეთებია რა.

ამისათვის თუ მართლა გუშინდელი ჩვენი მტერი (როგორც თქვენ უწოდებთ ბ. ჰაიდარ ბამატს!) დღეს საერთო მტერთან საბრძოლველი მასალის გამონახვის ცდაშია და თავის სამშობლოს განთავისუფლებასთან ერთად, საქრთველოს დმოუკიდებლობის აღდგენაზედაც ფიქრობს, მაშინ, ჩვენ თუ მართლა ეროვნულ საქმეს კეთილად და წრფელი გულით ვემსახურებით, მეტი არაფერი დაგვრჩენია, რომ ამისთანა მტერს და „კუმიქს“ ჩვენი ქართული და საერთო კავკასიური ძმობა და ნდობა განუცხადოთ და მასთან ერთად კავკასიის განთავისუფლების საქმეში ჩავებათ.

სანორჩელი



განცხადება

რედაქტიამ მიიღო შემდეგი განცხადება:

„უურნალ „დამოუკიდებელ საქართველოს“ მარტის ნომერში დაბეჭდილია 24 სოციალ-კომუნისტი ქართველის სია და აგრეთვე ქ. სოშოში ექვს თებერვალს მომხდარ კრების დამსწრეთა ცხრამეტი ქართველის გვარი.

ჩვენი, ქ. სოშოში არსებული 17 ქართველისაგან შემდგარი „ეროვნული გაერთიანების“ ჯგუფი აცხადებს:

არც ერთი ქართველი უურნალ „დამოუკიდებელ საქართველოში“ გამოცხადებული, არას დროს და არსად, არც ერთ ეროვნულ დაჯგუფებას არ ეკუთვნოდა. ყველა ისინი იყვნენ და არიან: მენშევიკური პარტიის წევრები, მათი აგენტები და მეორე ინტერნაციონალის რაზმი.

სრულიად ბუნებრივია, რომ ამ ინტერნაციონალისტებმა პირნათლად შეასრულეს პარიზიდან მოსული ნოე პირველის და მისი კარისკაცების დავალება უურნალ „კავკასიის“ წინააღმდეგ.

ძნელი საფიქრებელია რომ „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“ — ლოზუნგის მატარებელი, მათ პირობებში, შიშში და ჯამავირში მყოფი ხალხი ჩვენზედ უკეთ იცავდეს საქართველოს ინტერნებს, სადაც ჯერ არს.



წერილი რედაქციის მიმართ

დიდათ პატივცემულო ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული უურნალის საშუალებით ჩემი ულრმესი მადლობა მოვახსენო ყველა მათ, ვინც კეთილინება და მამა არხიმანდრიტის გრიგოლ ფერაძის პარიზში ჩამობრძნებას ხელი შეუწყო ნივთიერის დახმარებით, რამაც პარიზის ქართულ მრევლს საშუალება მისცა ბზობის, ვნების კვირისა და აღდგომის წირვა ქართულ ეკლესიაში მოესმინა. აღნიშნული მიზნისათვის სხვა და სხვა პირთაგან მე მივიღე 1400 ფრანკი, რომელიც გადაეცა მამა არხიმანდრიტს მოგზაურობის ხარჯის დასაფარავად. მარიამ კვინიტაძისა



„ახალი ივერიას“ მუჩარა

„ახალი ივერია“ ძველი ემიგრანტული უურნალია, მაგრამ პატრონებს დიდის ხნით შეჩერებული ჰქონდათ. წერის სალერლელი „კავკასიის“ გამოსვლამ აუშალა. უურნალი განახლდა, მაგრამ იმ წამსვე მენშევიკურ ანკესზედ წამოეგო. ურატაძეს ქება უურნალს თავში აუვარდა და მთლად გაება მენშევიკურ პროვოკაციაში. ვერ შეაჩერა იმ გარემოებამაც, რომ „ახალ ივერიის“ წრეს მენშევიკები გუშინ წინ ათასნაირ ბინძურ ცილსა სწამებდნენ. რედაქტიონის წევრებმა დიდი მონაწილეობა მიიღეს 4 დეკემბრის მიტინგის გამართვაში და მიტინგის რეზოლუცია თავის გამოცემაში გამოსჭიმეს. მათმა წერილებმა ჩვენი თანამშრომლების წინააღმდეგ გადააჭარბეს ცაგურიას და მენშევიკების აღვირ ახსნილ კამპანიასაც. მერე დაბეჭლებასაკ მიჰყვეს ხელი. უურნალის ნომ. 8 სწერდა: „არ არის საკმარისი რომ ამირეჯიბმა გულუბრიყვლო ადამი-

ანები არწმუნოს იაპონია და გერმანია გვაძლევს დახმარებასო". ქამან-დი „ჰევიანურად“ იყო ნასროლი. ვინაიდგან საფრანგეთში უცხო სახელმწიფოსაგან აღებული ფულით პოლიტიკური მუშაობის წარმოება აღკრძალულია, „ახალი ივერიის“ რედაქციის წევრები გვაბეზლებდნენ, ვითომდა, ჩვენ მიერვე ალიარებულ დანაშაულში. გვაბეზლებდნენ ჩვენივე „პირით“ და ასე ვსთქვათ ჩვენს მიერვე „ნათქვამით“. ეს იყო არა მარტო ბეზლობა, არამედ ტყუილიც, რადგან არავის და მით უმეტეს შ. ამირეჯიბს არავინ ურწმუნებია, რომ „გერმანია და იაპონია გვაძლევს დახმარებასო.“

მენშევიკურ ინტრიგაში ჩათრეული და თავდაკარგული უურნალი, რომ ამაზედ შორსაც წავიდოდა, ეს ჩვენთვის ყოველივე ეჭვის გარეშე იყო და უურნალი ეხლა ავაზაკურ მუქარაზეც გადადის.

„ახალი ივერიას“ „ჰევიასის“ პოლიტიკა, ტერორი სწყურია! თავის უკანასკნელ ნომერში ის სწერს შ. ამირეჯიბზედ:

„ზედმეტი არ იქნება მოვაგონოთ ამ ნიჭიერ ფელეტონისტს (რად სწუხდებიან! „კავკასია.“) მისი პატიოული და ფრაქციული ამხანაგი ვეშაპელის ბედი. ვეშაპელი უყვარდა და მას პატივს სცემდა ეროვნული და პატრიოტული საქართველო. მას აფასებდნენ, როგორც პოლიტიკურ მოლვაწეს. ხოლო როცა ვეშაპელმა ქართველების ნდობა გააყალბა და მტრის ინტერესებს მორჩილება გამოუცხადა, ის ქართველმა საზოგადოებამ მოიშორა და მას დამტირებელიც აღარავინ აღმოაჩნდა. ეს საუკეთესო მაგალითია იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველებმა მძლავრ სიყვარულთან ერთად უკან დაუხეველი სიძულვილიც იციან“.

ასე სწერენ „ქართველების“ სახელით, ვერ ვიტყვით რომ ძალიან ნიჭიერი პუბლიცისტები.

დიდათ პატიოსან უურნალის „მოწოდებაში“, თუ კი ეს დიდათ განათლებული პუბლიცისტების ნებაც იქნება, შესასწორებელია მხოლოდ ერთი იალლიში: შ. ამირეჯიბი არასოდეს ვეშაპელის „ფრაქციული ამხანაგი“ არა ყოფილა. დანარჩენებში „მოწოდება“ იმდენად ნათელი და აშკარა არის, რომ კომენტრიებს არა საჭიროებს. გამოსარკვევია მხოლოდ შემდეგი საკითხი:

„ახალი ივერია“ ვიგინდარების უურნალი არ არის. ის არის „საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ახალგაზრდობის ორგანო“, როგორც ამას თვით უურნალიც აცხადებს. ამ ორგანიზაციას თავისი შეფი ჰყავს. ამ შეფის სიტყვებს, ოდესლაც ქართულ პარლამენტში წარმოთქმულს, უურნალი ეხლაც ბეჭდავს თავის ფურცლებზედ. უურნალის იმავე ნომერის სიტყვით, ეს მათი შეფი იმავე დროს „ემიგრაციაში ქართული ეროვნული აზრის პოლიტიკური ხელმძღვანელი“ც ყოფილა და ეს პირი — ბატონი სპირიდონ კედია ბრძანდება.

ნუთუ ყოველივე ის, რასაც „ახალი ივერია“ სწერს და აკეთებს ამ „ქართული ეროვნული აზრის“ გამოძახილია?